ლელო

№ 63
(11 315)

17 – 19 აგვისტო, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა ● მსოფლიო ჩემპიონატი

რუსეთის გარდა, ყველა დასცეს...

„ლელოს“ მკითხველებს ეხსომებათ იმ პრობლემების შესახებ, რომელმაც თავი იჩინა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების გამგზავრების წინ. საბოლოოდ ნაკრებს თბილისის მერიის სპორტულმა სამმართველომ გაუწია ფინანსური შემწეობა იმ პრობლემების მოგვარებაში, რასაც სპორტის დეპარტამენტის დაფინანსება ვერ გასწვდა. სამმართველომ ორ ეტაპად ჩაუტარა ნაკრებს შეკრება, უზრუნველყო ეკიპირებით დელეგაციის სრული შემადგენლობა, ჩემპიონატზე მიავლინა ექსტრა-კლასის მსაჯი ედიშერ მაჩაიძე, უფროსი მწვრთნელი დავით დავითაია, რამდენიმე მოჭიდავე. ასეთმა თანადგომამ სასურველი შედეგი გამოიღო – გუნდმა სტაბილურად იასპარეზა და როგორც თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ გვაცნობა, ჩვენი ბიჭებიდან ორს ვერცხლის, ერთს კი – ბრინჯაოს მედალი მოუპოვებია. აი ისინიც: მეორე ადგილები – ირაკლი ჭოჭუა (54) და ილია ლეჟავა (97), ორივე ათლეტი თბილისიდანაა, მესამე ადგილზეა გარდაბანელი დიმიტრი დოხტურიშვილი (69).

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზეა რუსეთის შემდეგ, მესამეა – ირანი. გარდა ირანელებისა, ჩვენებმა გაუსწრეს ბელგიის, რუმინეთის, უნგრეთის, თურქეთის, გერმანიის, უკრაინის, ბელარუსიის და სხვა ქვეყნების მოჭიდავეებს.

დაწვრილებით „ლელოს“ უახლოეს ნომერში.

„ბუმათე“



საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში I ტური

ლოკომოტივი (თბილისი) – არსენალი (თბილისი) 2-2

ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, მიქაძე, ქობულაძე, გველესიანი (ბაქრაძე, 70), ჩომახიძე, ბარამიძე (რუსია, 59), შავგულიძე (კაციაშვილი, 46), გოგიჩაიშვილი, ქებაძე.
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ღუდუშაური, მაისურაძე, თარგამაძე (კვირკველია, 86), სულაძე (გონჩაროვი, 46), ამირიძე, კაკაშვილი (ხოსროშვილი, 46), ტარიელაშვილი.
გოლები: მიქაძე (27), რუსია (60), ამირიძე (70), თარგამაძე (80).
გააფრთხილეს: ჩიხრაძე, მიქაძე.
მსაჯი: ავთანდილ შალამბერიძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კარგად გამოწრთობილი ნერვებისა უნდა იყო მწვრთნელი, როცა ასე აწაპნიან მის გუნდს გამარჯვებას და სამ ქულას. პირველ ტაიმში „ლოკომოტივს“ 7 (!) რუალური მომენტი ჰქონდა, რომელთაგან მხოლოდ ერთი აქცია გოლად – მიქაძემ თავური დარტყმით დააგვირგვინა გოგიჩაიშვილი-ქებაძის კომბინაცია. დანარჩენ ექვსზე იმას გეტყვით, რომ სამჯერ გოგიჩაიშვილმა „შესცოდა“, ორჯერ ქებაძემ და ერთხელ ჩომახიძემაც. „არსენალმა“ ფიცხელი ბრძოლა კი გაუმართა მატჩის ფავორიტს, მაგრამ მთლიანად ხშირად თმობდა ორთაბრძოლებს, აგებდა სისწრაფეში, აგრესიულობაში. ხისტად და მჭიდროდ ვერ მეურვეობდა ქებაძეს, გოგიჩაიშვილს, ჩომახიძეს, რომლებიც „ლოკომოტივის“ შეტევის პოტენციალს განაპირობებდნენ. ბევრი იყო ლოკომოტიველთა ინდივიდუალური გარღვევები და საერთოდ, რკინიგზელთა გუნდს მეტად ლაღი თამაშის საშუალება მისცეს არმიელებმა, პირველ ტაიმში „არსენალი“ მხოლოდ ერთხელ დაემუქრა მასპინძელთა კარს – კაკაშვილმა ასე 20 მეტრიდან ოდნავ არაზუსტად გაისროლა ბურთი, რომელსაც ასლანაძემ მხოლოდ თვალი გააყოლა.

მეორე 45 წუთი ისე დაიწყო, რომ მინდორზე მხოლოდ ერთი გუნდი დომინირებდა – „ლოკომოტივმა“ კიდევ მოუმატა ზეწოლას. ორჯერ ჰქონდა ანგარიშის გაზრდის შანსი ქებაძეს, მაგრამ ჯერ ჩლაიძემ აჯობა, მერე კი „არსენალის“ კარის ძელმა „შეუშალა ხელი“. მოკლედ, მეორე გოლი არა და არ ჩანდა და მურთაზ ხურცილავამაც თავდასხმას მამუკა რუსია შეაშველა. ამ ფორვარდის ბურთთან პირველივე შეხება გოლად იქცა, რაც მიქაძის ფლანგურ გარღვევას მოჰყვა. „არსენალი“ მომენტალურად ვერ გამოაფხიზლა მეორე გაშვებულმა ბურთმა. ხურცილავას შეგირდები კვლავინდებურად ლაღად მიიწევდნენ წინ და კვლავინდებურად უხეიროდ ირჯებოდნენ დამთავრებულ ფაზაში. შეიქმნა იმის ილუზიაც, რომ „ლოკომოტივი“ უკვე აბუჩად იგდებდა მეტოქეს, მაგრამ ნურას უკაცრავად. „არსენალის“ ერთ-ერთ უიშვიათეს კონტრშეტევას კუთხური მოჰყვა, რომლის ჩამოწოდებისას უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ამირიძემ იქვე „ლოკომოტივის“ საჯარიმოში შექუჩულ ფეხბურთელებს „დაუმიზნა“ ძლიერად ბურთი, რომელიც რიკოშეტით ასლანიძის კარის ბადეში მოკალათდა. ამის მერე „არსენალი“ გამოცოცხლდა და მეორე გოლიც მიაყოლა – ტარიელაშვილმა ბოლომდე იბრძოლა, მეტოქე მცველები აიძულა შემცდარიყვნენ და მეკარესთან პირისპირ გასულმა ირაკლი თარგამაძემ წერტილი დაუსვა „ლოკომოტივის“ პარპაშს. რკინიგზელები ფრეს არ შეეგუენ, მაგრამ მათი ბოლო შანსი ჩომახიძემ გაუშვა ხელიდან – 6-7 მეტრში ააცილა ჩლაიძის კარს.

დათო თავგართაძილაძე

გასულ პარასკევს გამართულ სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე სფფ-ს პრეზიდენტმა მერაბ ყორდანიამ თქვა, რომ ქართული ფეხბურთის გამოჯანსაღება დამოკიდებულია საკლუბო ფეხბურთის დონის ამაღლებაზე, რის იმედსაც იძლევა „ტორპედოს“, „ლოკომოტივის“ და ბათუმის „დინამოს“ კლუბებში მწვრთნელებად დავით ყიფიანის, მურთაზ ხურცილავას და ჯონი კარნავალეს მისვლა, ისინი თბილისის დინამოსთან ერთად ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. ყორდანიას წინასწარმეტყველება ეროვნული ჩემპიონატის პირველივე ტურის მატჩში ახდა – ბათუმელებმა შინ 1-0 სძლიეს საქართველოს უცვლელ ჩემპიონს. ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩში სულ ორჯერ იწვნიეს მარცხი თბილისელებმა – პირველ ჩემპიონატში შინ ფოთის „კოლხეთთან“ და ახლა სტუმრად – ბათუმელებთან.

იხ. მე-3 გვ.

კრივი კადეტთა ევროპის ჩემპიონატი



13 – 10-3 «ბრინჯაოს»

ჩვენმა კადეტმა მოკრივეებმა ევროპის ჩემპიონობისათვის კარგა ხნით ადრე დაიჭირეს მზადების თადარიგი, როცა საგანგებო შერჩევით პირველობაზე მოსინჯეს თავიანთი ძალა. ლაგოდეხში გამოვლენილი უძლიერესები – 13 მოკრივე გაემგზავრა ბაქოში, რომელიც ჩემპიონატს მასპინძლობდა. იქ სამმა ქართველმა მოკრივემ ნახევარფინალამდე მიაღწია და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. ესენია: ფოთელი ლაშა ოჩიგავა (45 კგ). სენაკელი კახა ქვანია (48) და ვარიანელი გია მაზმიშვილი (81).

დაჯილდოება

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში თავლადი რანგის სპორტსმენთა მომზადებასა და ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაციონალური პედაგოგიური და ორგანიზაციორული საქმიანობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტის მუშაკები.

გორდა (რუსთავი) – ბორპედო (ქუთაისი) 0-2

ბიუროკრატიზმი

აეხსნება თუ არა ბორკილები SOS ქართულ ფეხბურთს?

ქართულ ფეხბურთში დაგროვილი პრობლემები არ შეიძლება მხოლოდ ქვეყნის რთული ეკონომიკური პირობებით აიხსნას. არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ საკითხების მოგვარება, რომელთა გადაჭრა ბიუროკრატიული აპარატის ხელშია და წლების განმავლობაში რჩება უყურადღებოდ. არიან ადამიანები, რომელთაც სიტყვით, ქართული ფეხბურთის სიყვარულში თითქოს ვერავინ შეეცილება, საქმით კი...

ყველა დიდი იმედით მოელოდა „საქართველოში ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის“ პროგრამის შემუშავებას, რომლის მიღებით თვით ქვეყნის პრეზიდენტი იყო დაინტერესებული. ადამიანები, რომლებიც ამ პროგრამაზე მუშაობდნენ, ვერ ვიტყვით გულით არ მოეკიდნენ საქმეს, მაგრამ შედეგი სულ სხვას მეტყველებს. მთავარი ისაა, რომ პროგრამაში თითქმის არაფერია იმაზე მეტი ან უკეთესი ნათქვამი, რაც უკვე არის ან იყო და ორგანიზაციული ღონისძიებებია მხოლოდ გასატარებელი მათ მოსაგვარებლად. მთავარი, რაც შექმნის და განამტკიცებს ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების ეკონომიკურ საფუძვლებს, ან ვერ აისახა პროგრამაში, ან აისახა ბუნდოვნად. საერთოდ ის, რაც ჩაწერილია პროგრამაში, იგივეა, რაც ფეხბურთის ფედერაციის წესდებაშია

იხ. მე-2 გვ.

„ლელოს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელად ოთარ კორალიძე შეირჩა. გუშინ, „დინამოს“ დირექციურთა სხდომაზე კორალიძე ოფიციალურად დაამტკიცა „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად.

აკადემიაში მიღება დამთავრდა, მიღება დაიწყო

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში, წლეულსაც კონკურსის პირობებში ჩაიარა გამოცდებმა. საუკეთესოთაგან აკადემიაში ყველა მოხვდა, თუმცა კონტიგენტის დამატებით კიდევ რამდენიმე აბიტურიენტმა დაიმსახურა სტუდენტობა (307+7). ასე რომ, მიღების წლევანდელი გეგმა აკადემიაში, როგორც იტყვიან, გადაჭარბებით შესრულდა.

ახლა აკადემიაში ახალი ციებ-ცხელებაა. გამოცდები დაიწყო ფასიანი სწავლების დასწრებულ და დაუსწრებელ სწავლებაზე. განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა ისეთ ფაკულტეტებზე, რომლებიც დღესაც საჭიროა და დიდი პერსპექტივა აქვს ახალ საუკუნეში.

ც. ბაძრაძე

მილოცვები

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს *ვლადიმერ უგრეხელიძეს.*

* * *

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს ქ. თბილისის ტანვარჯიშული კომპლექსის დირექტორს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს *გოდერძი კაჭარავას.*

* * *

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს კოლეგას გაზეთ „სპორტის სიახლენის“ რედაქტორს *გასილ უდუმაშვილს.*

ნყალბურთი ● დსთ-ს პირველობა

„ქუდში ჩაყრილი“ ფულით და სესხით

ორმა ქართულმა გუნდმა სტუმრად რუსეთის 10 გუნდს სძლია და ფინალში ქართველები შეხვდნენ ერთმანეთს

ჩვენი ჭაბუკი წყალბურთელები, რუსეთისა და უკრაინის პირველობებში ტრიუმფის შემდეგ, ამ დღეებში ტუაფსეში მიიწვიეს ევრაზიის ასოციაციისა და სავაჭრო პორტის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკ წყალბურთელთა დსთ-ს პირველ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის. მოხდა ისე, რომ ტუაფსეში მხოლოდ რუსეთის 10 და საქართველოს 2 გუნდი ჩავიდა საასპარეზოდ. მოასპარეზენი ორ ქვეჯგუფად დაყვეს. ფინალურ ეტაპზე ჩვენი ორივე გუნდი გავიდა, მათ თავი აქაც ისახელეს და თასისთვის გადამწყვეტ ფინალურ მატჩში ქართველები შეხვდნენ ერთმანეთს. აქ „ლაგუნა-ვერემ“ 5:2 სძლია

თბილისის განათლების სამმართველოს გუნდ „ნეპტუნს“ და მთავარ პრიზს დაეუფლა. საუკეთესო მოთამაშედ გამარჯვებული გუნდის წევრი – ირაკლი ბაზაძე აღიარეს.

არადა, თასის მფლობელები უფროსმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ სექტემბრამდე დაითხოვა, რადგან უსახსრობის გამო ტუაფსეში გამგზავრება შეუძლებელი იყო. ბიჭების ინტერესები ისევ მშობლებმა მიიტანეს გულთან ახლოს – ვის რამდენი შეეძლო თანხა „ქუდში ჩაყარეს“, 2500 აშშ დოლარი კი სესხად აიღეს და მაინც გაემგზავრნენ შეჯიბრებაზე. თუ ამ გუნდზე ხელი აიღეს და მათ კვლავ არ დაუდგა მხარში თბილისის მერია, მისი სპორტული სამმართველო, „ლაგუნა-ვერე“, უკრაინის პირველობაში ფინალურ ეტაპზე გასული და მეტოქეებზე ოთხი ქულით დაწინაურებული ჩვენი გუნდი შინ დარჩება. ამით კი წყალში გადაიყრება არა მხოლოდ მონაპოვარი, დიდ ზიანს მოუტანს, საერთოდ, ქართული წყალბურთის მომავალს. ამ ბიჭებს ხომ დღეს უძლიერესად აღიარებენ ყოფილ საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეში. ასეთი წარმატება თავისთავად ხომ არ მოდის. ამას ნუ დავივიწყებთ!

სურათზე:

პირველ რიგში. მარცხნიდან: ილია ბუტიკაშვილი, ვახტანგ ჩიხლაძე, გიორგი ჯოხაძე, გურამ მებუკე, გურამ კოტარია, ზურაბ რურუა.

დგანან (მარცხნიდან): ვაჟა ჩერტკოევი (მწვრთნელი), ირაკლი კიკალიშვილი (მსაჯი), თამაზ მანძულაშვილი, ლადო გურგენიძე, ირაკლი კუპრეიშვილი, ლევან ნადიბაიძე, ირაკლი და ავთანდილ ბაზაძეები, სოსო მაისურაძე (უფროსი მწვრთნელი).

ლარის ოფიციალური კურსი: 1 აშშ დოლარი – 1.9100 ლარი.

თემა განსჯისათვის

გზა ამომრჩეველთა გულებამდე სპორტზეც გადის...

საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, შესაშურ ენთუზიაზმს იჩენენ პოლიტიკური პარტიები და მათი ლიდერები სპორტის მიმართ. გასული ოთხი წლის განმავლობაში, გოგი თოფაძის გარდა, არათუ საქმით, სიტყვითაც არავის გაუმხნევებია ქართული სპორტი, რომელიც ყველა დონეზე სოლიდარული უყურადღებობით ჩიხში მოექცა. სპორტი უყვარს ჩვენს ხალხს, ხალხის გულის მოგება კი დღეს, წინასაარჩევნო პერიოდში ყველას უნდა. ამიტომ ახლა, ყველამ თუ არა, ბევრმა გაიხსენა აპრობირებული გზები მასებთან დასაახლოებლად. ეს გზა სპორტზეც გადის. და დაიწყო მასობრივი ღონისძიებების თუ საჩვენებელი სპორტული შეჯიბრებების გამართვა, საჩუქრების გულუხვად დარიგება. ქრთამთა საარჩევნო ხმების მოსყიდვა კანონით ისჯება, სპორტული პრიზი კი ჯილდოა სიჩაუქისათვის, რამდენიც გინდა გაეცი.

ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც შექმნის დღიდანვე სპორტის და სპორტსმენთა ინტერესების დამცველია, არის პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო“. მარტო ის რად ღირს, რომ მათ მიერ გაზაფხულიდან ტარდება მინიფეხბურთელთა პირველობა, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა და შემოდგომაზე დასრულდება. გაიხსენეთ თუნდაც აგრეთვე წლევანდელ გაზაფხულზე ჩატარებული მძლეოსნური კროსი. სხვები, ცხადია, ადრე არ ჩქარობდნენ, იქნებ ამომრჩეველთა მეხსიერების შეეშინდათ. ახლა კი, ახლა სად აღარ გაისმის ურიამული, მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობს ხმაურიანი სპორტული ღონისძიებები. ის კი, ვინც თავად არაა ორგანიზატორი, სპორტული ფედერაციების მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებზე დადიან, ხალხში ჩნდებიან, პრიზებს აწესებენ. გამგებლებიც გააქტიურდნენ ადგილებზე. ახლახან ქართულ ჭიდაობაში გამართულ შეჯიბრება-ზეიმში სოფელ წილკანსა და ახალგორში ლეიბორისტთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი და სახალხო პარტიის წარმომადგენელი ჯემალ აბუაშვილი დაესწრო, რაჭაში მსხვილმა ბიზნესმენებმა და კუთხის პატრიოტებმა ფეხბურთელთა გუნდი „რაჭა“ შექმნეს, ერთი კვირის შემდეგ კი რაჭველების წინაშე წარსდგნენ თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები, რომლებსაც ახალშექმნილმა „რაჭამ“ უმასპინძლა ამხანაგურ მატჩში. მართალია, ეს შეხვედრა 0-0 დამთავრდა, ვფიქრობთ, მთავარი მიზანი მიღწეულია.

არჩევნებამდე საკმაო დროა, ასე რომ, ბევრი საინტერესო ფაქტის მოწმე გავხდებით. მთავარია, ამ ხალხმა სპორტის სიყვარული არჩევნების შემდეგაც შეინარჩუნოს.

მიმომხილველი

«პტიცა» სამოციისაა?

რა თქმა უნდა, გაკვირვებით იკითხავს ის გულშემატკივარი, ვისაც ეს მართლაც უნიკალური კალათბურთელი მოედანზე უნახავს, და თვალწინ დაუდგება მისი ტემპერამენტიანი თამაში. ამ სპორტსმენის უნიკალურობაზე ალბათ უფრო იმიტომ ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ განგებისაგან ბოძებული თვისებებით ხელოვნების რამდენიმე დარგის მსახურიც შეიძლებოდა ყოფილიყო. წარმოიდგინეთ, რომელ პიანისტს არ შეშურდებოდა მისი მოქნილი ხელის მტევანი და თითები მართლაც კლავიატურასავით რომ გრძნობდა ბურთის უხილავ წერტილებს და მათზე შეხებით ნებისმიერი მანძილიდან კალათში ზუსტად აგზავნიდა ზედიზედ ბურთებს, ანდა, მისი დაყოვნებითი მაღალი ნახტომი არ დაამშვენებდა ჩვენს ცეცხლოვან ცეკვა მთიულურს? რისთვისაც მას თანაგუნდელებმა „პტიცა“ შეარქვეს და იგი მართლაც ჩიტივით დაფრინავდა მოედანზე...

ყველაფერი ეს მის თამაშს ზედმიწევნით ელეგანტურ იერს აძლევდა. მის გამოჩენას ორმოცდაათიანი წლების მიწურულს დინამოელთა რიგებში მართლაც სენსაციური ეფექტურობა მოჰყვა, რადგან ნებისმიერ მეტოქეთ იგი გადაუჭრელ თავსატეხსაც უჩენდა, მისი უვნებელყოფას კი ვერც ერთი გამოცდილი მცველი ვერ ახერხებდა. განსაკუთრებით შედეგიანი გახლდათ იმ ხანებში თბილისის დინამოელთა მინაშვილი-უგრეხელიძის წყვილი-ტანდემი, რაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელობასაც არ გამორჩენია მხედველობიდან და 21 წლის ახალგაზრდას რომის ოლიმპიურ თამაშებში ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვაც მიანდვეს. ახალბედამ გაამართლა კიდეც — დიდი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში, რომელმაც საპატიო მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები მოიპოვა. იმ წარმატებას საკუთარი კლუბის, თბილისის „დინამოს“ დიდი გამარჯვებაც მოჰყვა 1961-62 წლის ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. იქ ფინალისაკენ მიმავალ გზაზე ქართველმა დინამოელებმა ჯერ ამ თასის მფლობელი, უძლიერესი მოსკოვის არმიელთა გუნდი ჩამოიცილეს გზიდან, გადამწყვეტ მატჩში კი, რომელიც ყენევაში გაიმართა, თვით მადრიდის „რეალს“ დააყრევინეს ფარ-ხმალი და „ვერცხლის კალათა“ თბილისში ჩამოიტანეს. ამ უძნელეს შეხვედრებში „პტიცას“ ხელი და ჰაერში ნავარდი არ შემდრკალა. მისი ტალანტის მრავალთასიან თაყვანისმცემელთა გასახარად ვ. უგრეხელიძის „გედის სიმღერა“ კი 1968 წელს გაისმა, როცა ვლადიმერ უგრეხელიძემ თანაგუნდელებთან ერთად სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მანამდე კი, იყო ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

ყველაფერ ამისათვის, გმადლობთ, „პტიცა“!

„ლელო“

ეხსნება თუ არა ბორკილები ქართულ ფეხბურთს?

(პირველი გვერდიდან)

შეტანილი, რაც ფედერაციის ისედაც ყოველდღიური საქმიანობისა და ზრუნვის საგანია. რამდენადაც ვიცით, სფფ-ს ძირითადი მოთხოვნები და შესწორებები პროგრამაში ვერ აისახა. თავი დავანებოთ წვრილმან საკითხებს. ვილაპარაკოთ მთავარზე. მთავარი კი ისაა, რომ სფფ-ს ხელმძღვანელობამ ვერავის შეასმინა, რომ ჩვენს ქვეყანაში შემოსული ფეხბურთის ბურთები, კარის ბადეები, ხელოვნური მბრედნის ხალიჩა, სხვა ინვენტარი თუ სპორტული ფორმა, არ არის რეალიზაციისათვის განკუთვნილი, ის საჩუქარია უცხოეთის ფირმებიდან და არ უნდა იბეგრებოდეს, როგორც წარმოების საშუალება, რადგან მისგან არ იქმნება პროდუქცია, ე.ი. არ არის ძირითადი საშუალება, რომლის დაბეგვრა არანაირად არაა გამართლებული. ჩვენ გვესმის, რომ კანონი სხვას მოითხოვს, მაგრამ, ვინც ეს კანონი შექნა, ხომ შეიძლება შესწორებაც შეიტანოს.

ანდა, სფფ-ში ანგარიშზე დადებული უადაღაა ქართული ფეხბურთის ხელშეწყობა? ქვეყნის პრეზიდენტის არაერთი რეზოლუცია გარკვეულიუვნენ ამ საკითხში შესაბამისი ინსტანციები, დღემდე უყურადღებოდ რჩება. უარს ამბობენ ვალის ჩათვლაზე, მაშინ, როცა სხვებისთვის ასეთი ჩათვლები არაერთგზის გაუკეთებიათ თვით საბაჟოებიდან შემოსავლებშიც კი. ბოლო ხანებში სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა 70 ათასი ლარი გადაუხადა სფფ-ს მათთვის გამოყოფილი თანხიდან. მაგრამ ეს სფფ-ს ვალის მხოლოდ ნაწილია და უადაღა უადაღად რჩება.

და აი, ამ ფონზე ერთი აურზაური ატყდა იმასთან დაკავშირებით, რომ თურმე ზემოხსენებული პროგრამა არ სრულდება. გასაკვირია პირდაპირ, პროგრამა ჯერ ისევ პროექტის არტახებშია. მის შეუსრულებლობაზე კი სულ მაღალი ინსტანციებიდანვე გაისმის საყვედური. ალოგიკურია ეს ყველაფერი. გამოსავალი კი ერთშია — პროგრამაში გაითვალისწინონ სფფ-ს შენიშვნები, პარლამენტმა მიიღოს შესწორება შესაბამის კანონში, ვისაც ევალება შეასრულოს ქვეყნის პრეზიდენტის რეზოლუციები სფფ-ს მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით და უყველაფერი, როგორც იტყვიან, თავის ადგილზე დადგება. არადა, ქართული ფეხბურთი კიდევ დიდხანს ვერ გამოვა ხელოვნურად შექმნილი კრიზისიდან...

მიმომხილველი

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში მაღალი რანგის სპორტსმენთა მომზადებასა და ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და ორგანიზატორული საქმიანობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს სპორტის მუშაკები:

ელიზავეტა აზიზოვა — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საპატიო მსაჯი კალათბურთში; ***ლარისა ბერიევა*** — საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრის მეთოდური კაბინეტის გამგე, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში; ***ირინა ერმოლოვა*** — ჩოგბურთის კლუბ „გეიმ-96“-ის მწვრთნელი, მსოფლიო საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის ჩემპიონი; ***გიორგი ზაალიშვილი*** — საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი; ***ამირან ზუხბაია*** — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი; ***ზაქარია თელია*** — საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის სამედიცინო უზრუნველყოფის ხელმძღვანელი; ***ვლადიმერ სამსონაძე*** — საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე; ***თეიმურაზ (თამაზ) ქობულაძე*** — სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური სპორტული კლუბის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი; ***შუქრი ქოჩლაძე*** — ონის რაიონის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე; ***გიორგი შარაშიძე*** — საქართველოს ხელბურთის ფედერაციის მთავარი სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ***ზურაბ ჩაჩავა*** — სპორტის ოსტატი წყალბურთში, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი; ***ზურაბ ჯორჯიკია*** — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი, საზოგადოება „რაინდის“ თავმჯდომარე.

რაზე იმსჯელეს სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე?

ორგანიზაციული საკითხები

გასულ პარასკევს გამართულ სხდომაზე სფფ-ს აღმასკომმა დაკმაყოფილა აღმასკომის წევრის, ფირმა „ჯივი ეს-ის“ პრეზიდენტის ლევან გაჩეჩილაძის თხოვნა ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების თაობაზე. თუმცა, ლ. გაჩეჩილაძე აღმასკომის წევრად რჩება. ახლო მომავალში გადაწყდება თუ ვინ დაიკავებს ვაკანტურ თანამდებობას ფედერაციაში. აღმასკომის ახალი წევრი გახდა მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო.

სხდომაზე გამოითქვა შეშფოთება, რომ დაიქმეულ ვადაში საგარანტიო თანხა ვერ შეიტანა რუსთავის „გორდამ“. აღმასკომმა 16 ივლისის 12 საათამდე გაუგრძელა ფულის შეტანის ვადა რუსთაველებს. საყვედური გამოითქვა სამტრედიელთა და თბილისის „მერანის“ მესვეურთა მისამართით, რომლებმაც ჩემპიონატის დაწყებისთვის წესრიგში ვერ მოიყვანეს სტადიონები.

ეკონომიკური უზრუნველყოფა

სფფ ეკონომიკურ ხელმოკლეობას განიცდის. ადრინდელი დაპირებები რეალურად ვერ იქცა. ახლა ფედერაციას გამოუჩნდა საიმედო სპონსორი ლატარია „ტოტო-ლოტო“, რომლის მოგების 20 პროცენტს ამ ლატარიის მფლობელ სპორტის ეროვნულ ფონდთან შეთანხმებით, სფფ მიიღებს.

მსაჯობა

ამიერიდან თითოეული მსაჯი მომსახურების საზღაურად მიიღებს 200 ლარს ყოველ მატჩში. ეს, ცხადია, გაზრდის არბიტრთა პასუხისმგებლობას, ყოველ შემთხვევაში, სფფ გაამკაცრებს მათდამი მოთხოვნებს. ადგილებზე მსაჯთა უსაფრთხოებაზე უპირველესი პასუხისმგებელი კი მიმდები კლუბი იქნება. მან უნდა მოაგვაროს ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად, მსაჯთა უსაფრთხოება.

პროფკავშირებმა თავი შეგვახსენეს

ჩვენმა პროფკავშირებმა წარსულის კარგი ტრადიცია გაიხსენეს და როგორც კი შესაძლებლობა მიეცათ, წლეულს მოსწავლეთა და სტუდენტთა დასვენებაზეც იზრუნეს საზაფხულო არდადეგების პერიოდში. ძირითადად აქცენტი სოციალურად დაუცველ ოჯახებზე გადაიტანეს. მოსწავლეთა გამაჯანსაღებელ ბანაკებში ბევრი მოზარდი სპორტსმენი მიიწვიეს, სტუდენტთა შორის კი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის 10 წარმომადგენელი მოხვდა დასასვენებელ ბანაკში. ბანაკები ქვეყნის მთიან და ზღვისპირა კურორტებზე მოეწყო.

„ბუმათე“

ციტატა

ცნობილმა მოკრივემ კობა გოგოლაძემ, პროფესიონალებში გადასვლასთან დაკავშირებით „დილის გაზეთს“ (№184) განუცხადა: „მართალია სპორტის მესვეურები ყოველნაირად ცდილობენ ჩვენთვის ხელის შეწყობას, მაგრამ ის, რისი გაკეთებასაც ისინი ახერხებენ, ზღვაში წვეთია. ძნელია ისეთ პირობებში, როგორიც დღეს საქართველოშია, მაღალ შედეგებზე იფიქრო“.

ამას ვინ წარმოიდგენდა

პარიზში მსოფლიო კრივზე მსჯელობენ

ფრენკ მელოუნი მსოფლიოს კრივის სამყაროში ცნობილი სპეციალისტია. სწორედ ის და ბულგარელი მიხეი კაპოვი მოამზადებენ გიორგი კანდელაკს 21 აგვისტოს მორიგ სარეიტინგო პაექრობისთვის. ეს ორთაბრძოლა როგორც ცნობილია, ბათუმში გაიმართება. გიორგის მომზადებაში დახმარებას გაუწევს სპარინგ-პარტნიორი, ინგლისელი მოკრივე მარკ ლოკო.

სტუმრების ჩამოსვლასთან და ბათუმში მოახლოებულ პაექრობასთან დაკავშირებით, გიორგი კანდელაკის შშობლიურ ვარიანში, იმ დარბაზის ჭერქვეშ, რომელიც ამ მოკრივის თაოსნობით აიგო, გაიმართა პირველი პრესკონფერენციაა, რომელშიც მონაწილეობდა აჭარის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი მელაძე.

„გიორგი კანდელაკი 3-4 წელიწადში მსოფლიოს ჩემპიონი გახდება. ამ გეგმის რეალობაზე მუშაობენ მწვრთნელები. გიორგი პროგრესულად მზარდი მოკრივეა. ბათუმის ბარიერს იგი უთუოდ წარმატებით დაძლევს. მომწონს აქაურობა, ხალხი ძალიან თბილად გვხვდება“ — განაცხადა ფრენკ ლოუნმა.

გუჯუკაი კარატე-დო

შავი ქამრისთვის შორს ნულარ წახვალთ...

ამიერიდან გუჯუკაი კარატე-დოში შავ ქამარზე გამოცდის ჩასაბარებლად ჩვენს სპორტსმენებს უცხოეთის ოსტატებთან აღარ მოუწევთ გამგზავრება — თბილისელმა ოთარ გრძელიშვილმა შავი ქამრის მინიჭების უფლება მიიღო ამ დღეებში ინგლისის ქალაქ პოლჩესტერში ევროპის ქვეყნების წარმომადგენელთა სემინარის შემდეგ მოწყობილ გამოცდებზე. გრძელიშვილის ორმა შეგირდმა ლევან ნიკოლაძემ და ლევან პაპაშვილმა კი შავ ქამარზე წარმოადგინეს თავიანთი ოსტატობა და სასურველ წარმატებასაც მიაღწიეს.

ოთარ გრძელიშვილი „ტელეკომის“ დაცვის უფროსია, ინგლისში გამგზავრება დაფინანსა „ტელეკომმა“ (უფროსი გურამ ხმალაძე).

კალენდარი

ვინ, სად, როდის...

16—31 აგვისტო

16 აგვისტო. დაიბადა ლევან სანაძე (1928) - ცნობილი მძლეოსანი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე. გარდაიცვალა 1998 წ.

17 აგვისტო. დაიბადა ვლადიმერ უგრეხელიძე (1939) - სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი, მსოფლიო ჩემპიონატის III და ოლიმპიური თამაშების II პრიზიორი კალათბურთში

18 აგვისტო. დაიბადა ვლადიმერ გოგოლაძე (1966) - ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში

19 აგვისტო. დაიბადა კობა წაქაძე (1934) - ერთადერთი ქართველი, რომელიც ზამთრის ოლიმპიადის ოთხგზის მონაწილეა ტრამპლინიდან ხტომაში

23 აგვისტო. დაიბადა თენგიზ სულაქველიძე (1956) - ცნობილი ფეხბურთელი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე

25 აგვისტო. დაიბადა ელენე გოკიელი (1918) - ცნობილი მძლეოსანი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე. გარდაიცვალა 1993 წ.

25 აგვისტო. გაიხსნა XVII ოლიმპიური თამაშები (1960)

26 აგვისტო. გაიხსნა XX ოლიმპიური თამაშები (1972)

30 აგვისტო. დაიბადა საიდა გუნბა (1959) - ოლიმპიური თამაშების (1980) II პრიზიორი შუბის ტყორცნაში.

31 აგვისტო. დაიბადა რამაზ ფალიანი (1973) - ოლიმპიური თამაშების (1992) III პრიზიორი.

რას ფიქრობთ დემეტრაძეზე?

გიორგი დემეტრაძის შედეგი რუსეთის ჩემპიონატში მართლაც უნიკალურია. მას ყველა მატჩში გოლი გააქვს. რას ფიქრობენ ამის შესახებ წამყვანი რუსი სპეციალისტები?

იური სიომინი (მოსკოვის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი): დემეტრაძეზე მხოლოდ აღტაცებით შეიძლება ლაპარაკი. ეს არის არაორდინარული თავდამსხმელი, დიდებული ცრუ მოძრაობით, დიდი სისწრაფით, ჩინებული დარტყმით. და, რაც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია: იგი შესანიშნავად იყენებს სტანდარტულ მდგომარეობას. ბევრ თავდამსხმელს არ შეუძლია ამით თავი მოიწონოს. დემეტრაძე კი ოსტატურად აწოდებს კუთხურს, საჯარიმოსაც ისე ურტყამს, რომ ბურთი თვალშეუვლები ხდება.

ოლეგ დოლმატოვი (მოსკოვის ცსკა-ს მთავარი მწვრთნელი): ისეთი თავდამსხმელი, როგორიც დემეტრაძეა, რა თქმა უნდა, მომწონს. ეს არის ბომბარდირი, რომელმაც იცის, როგორ უნდა მიიღოს ბურთი რთულ სიტუაციაში, მჭიდრო მეურვეობაშიც კი შეინარჩუნოს, გასცდეს მეტოქეს. ამავე დროს იგი ორივე ფეხით ჩინებულად ურტყამს, უყველა თვისება აქვს, რაც მაღალი კლასის თავდამსხმელს მოეთხოვება. იგი რუსეთის ჩემპიონატში მონაწილე იმ თავდამსხმელებს შორისაა, რომელთა თამაშიც განსაკუთრებით მომწონს. მათ შორის არიან აგრეთვე ზაზა ჯანაშია მოსკოვის „ლოკომოტივიდან“, იური მატვეევი „როსტსელმაშიდან“ და არსენ ავაქოვი ნიუნი ნოვგოროდის „ლოკომოტივიდან“.

ვიტალი შევჩენკო (მოსკოვის „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი): დემეტრაძე, რა თქმა უნდა, კარგი თავდამსხმელია. რომელი მწვრთნელი არ მოინდომებდა თავის გუნდში ჰყოლოდა? იგი ჩინებულად ასრულებს საჯარიმო დარტყმას, შესანიშნავი სისწრაფე აქვს, ტექნიკურია, საგოლე სიტუაციის გრძნობით. ერთი სიტყვით, ყველა ღირსება აქვს, რაც ნამდვილ თავდამსხმელს უნდა ახასიათებდეს.

ალექსი პეტრუშინი (მოსკოვის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი): ვინ იტყვის უარს კარგ თავდამსხმელზე? დემეტრაძე ინდივიდუალურად ძლიერი მოთამაშეა, ქართული საფეხბურთო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, გოლის გატანის სწავლა საერთოდ შეუძლებელია.

ვიქტორ პროკოპენკო (ვოლგოგრადის „როტორის“ მთავარი მწვრთნელი): დემეტრაძე რუსეთის ჩემპიონატში ფრიად შესამჩნევი ფიგურაა. იგი არა მარტო მაღალ ტექნიკას, საფეხბურთო ეშმაკობასაც ფლობს. მისი მოქმედების წინასწარ გამოცნობა ხშირად შეუძლებელი ხდება. მას დიდებული დრიბლინგი და დარტყმა აქვს. როცა „ალანია“ მასირებულ შეტევაზე გადადის, ასეთი თავდამსხმელი პირდაპირ მისწრებაა. ამასთან, იგი თავდაცვით თამაშშიც ძალიან კარგია: ბურთს კონტროლს უწევს, მისი წართმევა კი წესების დარღვევით თუ შეიძლება. ეს თავდამსხმელი „ალანიისათვის“ მართლაც შეუცვლელია, მის ყოლას საკუთარ გუნდში ნებისმიერი მწვრთნელი ისურვებდა.

ანატოლი დავიდოვი (სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის“ მთავარი მწვრთნელი): ის, რომ დემეტრაძეს ამდენი ბურთი გააქვს, უკვე უველაფერზე მეტყველებს. მაღალი კლასის თავდამსხმელს გოლები სისტემატურად უნდა გაჰქონდეს. მიჭირს იმაზე ლაპარაკი, როგორ შეეწყობოდა იგი სხვა გუნდს, თუკი „ალანიიდან“ სადმე გადავიდოდა. საშუალება არა მაქვს ამ ფეხბურთელს სისტემატურად თვალი ვადევნო, მაგრამ, ვფიქრობ, რუსეთის ბევრი კლუბის მწვრთნელებს შურთ ვალერი გაზაევისა, ასეთი მარჯვე და თვითმყოფადი თავდამსხმელი რომ ჰყავს.

ორი წლის წინათ კი...

1997 წელს გიორგი დემეტრაძეს ძალიან უნდოდა რუსეთის ჩემპიონატში თამაში, ამასთან, მაინცდამაინც ცსკა-ში.

როცა არმიელთა მწვრთნელ პაველ სადირინს ჰკითხეს, შეეძლო თუ არა დემეტრაძეს გასინჯვაზე ჩასვლა, მან იკითხა:

— ვინ არის, მას არ ვიცნობ!

სადირინს ასე აუხსნეს, პატარა ტანის სწრაფი თავდამსხმელია, ბევრი გოლი გააქვს.

— პატარა? — შეაწყვეტინა მწვრთნელმა — პატარები არ მჭირდება!

რა ელირებოდა ევროპაში დემეტრაძე?

ასეთი კითხვით მიმართა მოსკოვის „სპორტ-ექსპრესმა“ ინტერნეტით თავის მკითხველებს:

პასუხი 1731 მკითხველისაგან მოვიდა.

— ეღირებოდა 10 მილიონ დოლარზე მეტი — ასეთია გამოკითხულთა 9,2 პროცენტის აზრი.

— 10 მილიონი დოლარი 5%
— 7,5 მილიონი — 10,9%
— 5 მილიონი 20,5%
— 3 მილიონი — 27,9%
— 1 მილიონზე ნაკლები — 26,5%.

„სახლი არ მიყიდეს? არ ვითამაშებ!“

უკვე სამი კვირაა „ინდეპენდიენტეს“ (მედელინი, კოლუმბია) პარაგვაელი მეკარე რენე იგიტა, რომელიც თავისი ექსცენტრულობით არის ცნობილი, ვარჯიშებზე არა ცხადდება.

საქმე ის არის, რომ კლუბი იგიტას დაჰპირდა მისთვის განვადებით შეეძინა სახლი. იგიტა, შესახლდა კიდეც ბინაში, მაგრამ უკვე რამდენიმე თვეა კლუბი შესაბამის თანხას აღარ აძლევს. მეპატრონეს ფეხბურთლებ და ფეხბურთელებთან რა საქმე აქვს, და, ფული რომ არ გადაუხადეს, იგიტას გასახლებას ცდილობს.

ამიტომაც, მეკარემ გაფიცვა გამოაცხადა და ვარჯიშებს აცდენს. ახლა საკითხი ასე დგას: ან კლუბმა სასწრაფოდ უნდა იყიდოს სახლი და ამრიგად, იგიტა შემოირიგოს, ანდა, პარაგვაელი დასტოვებს „ინდეპენდიენტეს. მით უმეტეს, რომ მას უმუშევრობა არ ელის — უხმობენ მექსიკაში, სადაც მისი შეძენა ქ. მორელიას კლუბ „ატლეტიკოს“ სურს.

UEFA CUP — უეფას საკლასიფიკაციო ეგაპის თასი — პირველი მაგჩები

ლოკომოტივი (საქართველო) — ლინფილდი (ჩრდილოეთ ირლანდია) 1-0.
ლანტანა (ესტონეთი) — ტორპედო (საქართველო) 0-5.

ნეფთჩი (აზერბაიჯანი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 2-3.
შერიფი (მოლდოვა) — სიგმა (ჩეხეთი) 1-1.
ერევანი (სომხეთი) — ჰაპოელი (თელ-ავივი. ისრაელი) 0-2.
მეტალურგსი (ლატვია) — ლეხი (პოლონეთი) 3-2.
ბატე (ბელარუსი) — ლოკომოტივი (რუსეთი) 1-7.
ბელშინა (ბელარუსი) — ომონია (კვიპროსი) 1-5.
ბოდო გლიმტი (ნორვეგია) — ვადუცი (ლიხტენშტაინი) 1-0.
რიგა (ლატვია) — ჰელსინგბორგსი (შვედეთი) 0-0.
ვოივოდინა (იუგოსლავია) — უიპეშტი (უნგრეთი) 4-0.
ტულევიკი (ესტონეთი) — ბრიუგე (ბელგია) 0-3.
კრივბასი (უკრაინა) — შამქირი (აზერბაიჯანი) 3-0.
ვლაჭნია (ალბანეთი) — სპარტაკი (სლოვაკეთი) 1-1.
მაკაბი (ისრაელი) — კაუნასი (ლიტვა) 3-1.
გორიცა (სლოვენია) — ინტერი (უელსი) 2-0.
კლაკსვიკი (ფარერები) — გრაცერი (ავსტრია) 0-5.
ვაასა (ფინეთი) — სენტ-ჯონსტონი (შოტლანდია) 1-1.
გიოტებორგი (შვედეთი) — კორკ სიტი (ირლანდია) 3-0.
ვიკინგი (ნორვეგია) — პრინსიკატი (ანდორა) 7-0.
ფერენცვაროში (უნგრეთი) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) 3-1.
ინტერი (სლოვაკეთი) — ბილიში (ალბანეთი) 2-1.
ლიუნგბიუ (დანია) — ბირკირკარა (მალტა) 7-0.
გრასჰოპერსი (შვეიცარია) — ბრეი (ირლანდია) 4-0.
სტიაუა (რუმინეთი) — ლევადია (ესტონეთი) 3-0.
ანდერლეხტი (ბელგია) — ლეიფტური (ისლანდია) 6-1.
შლიმა (მალტა) — ციურიხი (შვეიცარია) 0-3.
ოლიმპია (სლოვენია) — კარედა (ლიტვა) 1-1.
ვარდარი (მაკედონია) — ლეგია (პოლონეთი) 0-5.
ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) — ტორსპავნი (ფარერები) 1-0.
მოდერკანჟი (ლუქსემბურგი) — დინამო (რუმინეთი) 2-6.
აპოელი (კვიპროსი) — ლევსკი (ბულგარეთი) 0-0.
კვმბრანი (უელსი) — სელტიკი (შოტლანდია) 0-6.
პორტდაუნი (ჩრდილოეთ ირლანდია) — ცსკა (ბულგარეთი) 0-3.
ჰაიდუკი (ხორვატია) — დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 5-0.
რეიკიავიკი (ისლანდია) — კილმარნოკი (შოტლანდია) 1-0.

ძოძუაშვილს სჭარკოვი შეცვლის

როგორც მოსკოვის „სპორტ-ექსპრესი“ იუწყება, საუდის არაბეთის კლუბ „ალ-იტიხადში“, სადაც ეს-ეს არის დაიწყო მუშაობა რევაზ ძოძუაშვილმა, ადრე ბორის იგნატიევი მუშაობდა, იქ რუსი ფეხბურთელები სერგეევი და ტატარჩუკი თამაშობდნენ. „ალ-იტიხადი“ ახლა აზიის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელია.

ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის დამთავრების შემდეგ გამოცხადდება.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

კანიჯა „ატალანტაში“ ითამაშებს

კლაუდიო კანიჯამ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი იტალიის „სერია B“-ს კლუბ „ატლანტასთან“ (ბერგამო). არგენტინელი თავდამსხმელი ადრე, 1989-92 წლებში უკვე გამოდიოდა ამ გუნდში, რომელიც მაშინ იტალიის „სერია A“-ში თამაშობდა.

სამი შეცვლა ერთ აღგილზე?

ასეთ შემთხვევას როგორღაც ვერ ვიხსენებთ. თბილისის „მერანის“, „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ ნახევარმცველი ალეკო გოგობერიშვილი ახლა მახაჩყალის „ანჟიშია“. გუნდს, რომელსაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ჰაჯი ჰაჯიევი უდგას სათავეში, რუსეთის უმაღლეს ლიგაში გასვლის პრეტენზია აქვს.

ეს უცნაური ამბავი კი „ანჟის“ კრასნოიარსკის „მეტალურგთან“ (0-0) შეხვედრაში მოხდა. უკვე მე-20 წუთზე გოგობერიშვილი აღალაროვმა შეცვალა, 65-ე წუთზე აღალაროვი — რამაზანოვმა, ხოლო 85-ე წუთზე რამაზანოვი — როჯელეევიჩმა!

საარჩევნო კამპანია ერთ წელიწადს გაგრძელდება

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების პრეტენდენტებს შორის ინგლისელი ბუკმეკერები უპირატესობას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ანიჭებენ. ამ რესპუბლიკის წარმომადგენელმა, რომელიც ზულუსურ სამოსში — ლომის ტყავში იყო გამოწყობილი, ფიფას შტაბ-ბინაში ციურიხში ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს ოფიციალური განცხადება გადასცა. გარდა ამისა, ფიფამ მიიღო მაროკოს, ინგლისის, ბრაზილიისა და გერმანიის განცხადებები.

სნაიპერები და მათი რეკორდები

მსოფლიოში ჯერ არა ყოფილა თავდამსხმელი, რომელსაც ეროვნული ჩემპიონატების მატჩებში საშუალოდ ერთი გოლი გაეტანა.

მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი.

პელე 1957-1977 წლებში თამაშობდა ჯერ სან-პაულუს „სანტოსსა“ და შემდეგ ნიუ-იორკის „კოსმოსში“, მან 560 მატჩში 541 გოლი გაიტანა (0,97 % მატჩში).

ოდნავ უარესი მაჩვენებლები ჰქონდა ფერენც პუშკაშს („კიშპუშტი“, „ჰონვედი“, მადრიდის „რეალი“, 1943-1966 წლებში). მან 533 მატჩში გაიტანა 511 გოლი (0,96 %).

ეუსებიო 1960-1977 წლებში თამაშობდა ლისაბონის „ბენფიკაში“, „ბეირამარში“ (ორივე — პორტუგალია), „მონტერეიში“ (მექსიკა), „ტორონტოში“ (კანადა), აშშ-ს კლუბებში „როდ აილენდსსა“ „ბოსტონში“, „ლას-ვეგასსა“ და „ნიუ-ჯერსიში“. 373 მატჩში მან 342 გოლი (0,94 %) გაიტანა.

შანდორ კოჩიში 1945-1965 წლებში გამოდიოდა „ფერენცვაროშში“, „ჰონვედში“, „იახგ ფელოუზსა“ (შვეიცარია) და „ბარსელონაში“. 335 მატჩში გაიტანა 294 გოლი (0,88 %).

უგო ხელერი 1954-1978 წლებში თამაშობდა „ჰამბურგერ შპორტფერაინში“, ცოტა ხანს კი ირლანდიის „სტოკ სიტიში“. 520 მატჩში გაიტანა 446 გოლი (0,86 %).

ტანჯუ ჩილაკი 1982-1993 წლებში თამაშობდა „სამსუნსპორში“, „გალათასარაისა“ „ფენერბახჩეს“ და „ისტამბულსპორში“. 281 მატჩში გაიტანა 239 გოლი (0,85 %).

1958 წ. შვეიცია. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალური მატჩის (შვეიცია-ბრაზილია) ერთ-ერთი ეპიზოდი, სადაც 17 წლის პელემ თავისი პირველი გოლის გატანა იზეიმა.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

ბერდ მიულერი. 1965-1981 წლებში თამაშობდა მიუნხენის „ბაიერნში“, შემდეგ კი აშშ-ს „სტრაიკერსსა“ და „სმით ბრეზერსში“. 507 მატჩში გაიტანა 405 გოლი. (0,80 %).

ჩარლტონმა ახალგაზრდა სპორტსმენები მიიწვია

ბობი ჩარლტონმა თავის განთქმულ საფეხბურთო სკოლაში სავარჯიშოდ მიიწვია ნორჩი სპორტაკელების (1989 წელს დაბადებული ყმაწვილების) გუნდი. ამ მოგზაურობის სპონსორია „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მოთამაშე ანდრეი კანჩელსკისი, რომელიც ახლა „გლაზგო რეინჯერსში“ გამოდის.

ფერგიუსონს რივალდოს ყიდვა სურს

როგორც ინგლისურ წყაროებზე დაყრდნობით იტალიური პრესა იუწყება, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ძალიან სურს „ბარსელონას“ ბრაზილიელი ვარსკვლავის, ნახევარმცველ რივალდოს შეძენა. ალექს ფერგიუსონს იგი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად მიაჩნია. რივალდოს ფასი, იტალიელი ექსპერტების აზრით, რამდენადმე ჩამოუვარდება იმ სარეკორდო თანხას, რომელიც „ინტერმა“ ვიერის შესაძენად გადაიხადა.

კიდევ ერთი ახალი ცნობა: ტურინის „იუვენტუსს“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტან როი კინის შეძენა სურს.

71 წლის ასაკში...

... გარდაიცვალა ევგენი გორიანსკი უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი.

გორიანსკი მოსკოვის „დინამოს“ აღზრდილი იყო. 1973 წელს იგი საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად მუშაობდა, სხვადასხვა დროს კი არაერთ ცნობილ კლუბს ხელმძღვანელობდა.

საცაა თამაშს დაიწყებს

როგორც გერმანული პრესა იუწყება, საცაა „ფრაიბურგში“ თამაშს განაახლებს ალექსანდრე იაშვილი. მან, როგორც ცნობილია, ძალიან კარგად დაიწყო გერმანიის 1998-99 წლების ჩემპიონატი, მაგრამ შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო.

ივლისში იგი მსუბუქად ვარჯიშობდა, ახლა კი, როგორც მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ფიქრობს, მალე ბრძოლაშიაც ჩაებმება.

საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ა ზონა

ქარნავალეს საუნახურთო ქარნავალი ბათუმში

დინამო (ბთ) 1-0 დინამო (თბ)

15.08.99. ბათუმი. სტადიონი „ცენტრალური“. 6000 მაყურებელი.

დინამო (ბთ): ტოგონიძე — 6,5, ი. მხარაძე — 6,0, პაპიძე — 6,5, მ. მახარაძე — 6,5, ზ. არჩვაძე — 6,5, მინდაძე — 6,5 (ა. მუჯირი, 58 — 6,0), კობიძე — 7,0 (კანტიძე, 70 — 6,0), გელა ქორიძე — 6,5, მაჭუტაძე — 6,5, ტუღუში — 6,5, გადელია — 6,5 (თეიმორაძე, 79).

მწვრთნელი: ჯ. კარნეველე — 7.0.

დინამო (თბ): დონდტი — 6,0, შაშიაშვილი — 5,5 (გ. შენგელია, 82), გუჩუა — 6,0 დიდავა — 5,5 კობიაშვილი — 6,0, ვაშაკიძე — 5,5, ალექსიძე — 7,0 წიტაიშვილი — 6,0, აშვეთია — 5,5 (ზირაქიშვილი, 67 — 5,5), სიჭინავა — 5,5.

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე — 6.0.

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი) — 6,5.

გოლი: კობიძე, 69.

გააფრთხილეს: გუჩუა, კობიძე, არჩვაძე, პაპიძე.

XI ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი პირველი მატჩი 33 გრადუს სიცხეში ჩატარდა ბათუმში. ალმის ალმართვის შემდეგ ბურთი თამაშში შეიყვანა თბილისის „დინამოს“ ვეტერანმა ფეხბურთელმა გრიგოლ გაგუამ. „ცუდი ფეხი ჰქონიაო“ ამ თაობის თანაკლუბელები გაგუაზე ვერ იტყვიან, რადგან რაც სჭირთ, თავისით სჭირთ და სხვა არაფერ შუაშია. ეს მატჩი თბილისის დინამოელებთან ბათუმელებმა მწვავე იერიშებით დაიწყეს და მე-3 წუთზე ღამის გოლიც გაიტანა ტუღუშმა – ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. სამიოდე წუთში მანვე შენიშნა, რომ თბილისელთა მეკარე წინ იყო გამოსული და 30 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი ამჯერად ხარიხას მოხვდა. მომდევნო 10 წუთში ბრძოლა გათანაბრდა – ძირითადად მოედნის შუაგულში. მე-19 წუთზე კი ალექსიძე გასცდა მცველებს და კარგად ჩაწოდა საჯარიმოში, იქ ბურთს თავით მისწვდა ვაშაკიძე, მაგრამ ტოგონიძემ ითამაშა შესანიშნავად. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და ამჯერად ბათუმელთა კომბინაცია თითქოს გოლით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სტუმართა მეკარემ იხსნა კარი გადელიას ულამაზესი და უძლიერესი თავური დარტყმისგან. დამაბულობამ მეორე ტაიმში უფრო იმატა. 67-ე წუთზე მუჯირმა, რომელიც შეცვლაზე გამოვიდა, დაინახა კარგ პოზიციაზე მდგომი თანაგუნდელი კობიძე, მყისიერად გადააწოდა მას, ამ უკანასკნელმა ჯერ მცველები ჩამოიცილა, შემდეგ კარიდან წინ გამოსულ მეკარეს გადაუგდო ბურთი თავზე და გახსნა ანგარიში. ამასთან, კობიძე მეკარეს შეეჯახა და ტრავმირებული გაიყვანეს მინდვრიდან. ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა ორჯერ მიეცათ სტუმრებს – ორჯერ ალექსიძემ ჩინებულად ჩააწოდა საჯარიმოში, მაგრამ ჯერ ზირაქიშვილმა, შემდეგ წიტაიშვილმა ვერ გამოიყენა გოლის გატანის შესაძლებლობა. ამ მატჩამდე მეტოქეები ეროვნულ ჩემპიონატში 19-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. თბილისელებმა იმარჯვეს 9-ჯერ, ბათუმელებმა – 2-ჯერ, 5 მატჩი ფრედ დამთავრდა.

მატჩის შემდეგ ასლან აბაშიძის ფონდიდან გრიგოლ გაგუას 1000 ლარი გადასცეს, მანვე მიიღო უამრავი საჩუქარი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. ბათუმელება დაამტკიცეს, რომ ქართველ ვეტერან ფეხბურთელებს ჯეროვან პატივს მიაგებენ.

ოთარ მურვანიძე,
ბათუმი. „ლელოს“ კორ. აჭარაში.

P.S. მატჩის შემდეგ ბათუმელთა იტალიელმა მწვრთნელმა კმაყოფილება გამოთქვა შედეგზე და აღნიშნა, რომ პირველსავე მატჩში ქვეყნის მრავალწლის ჩემპიონის ძლევა, მას და მის შეგირდებს მეტს ავალებს. თბილისელთა დამრიგებელმა გეგუჩაძემ აღიარა, რომ დამარცხდნენ ძლიერ მეტოქესთან და იზრუნებენ ხარვეზების გამოსწორებაზე.

სიონი 2-2 თბილისი

14.08.99. ბოლნისი. სტადიონი „თ. სტეფანია“. 1500 მაყურებელი.

სიონი: ვოლკოვი— 5,5. კ. გოდერძიშვილი — 5,5 (ლ. გაგუა, 46 — 7,0), შაკიაშვილი — 6,0, სიდამონიძე — 6.0, დიმიტრიშვილი — 6,0, დათუაძე — 7,5, ნ. მინდიაშვილი — 6,5, მ. გოგოლაძე — 6,5 (დ.სვანიძე, 72), თ. სამხარაძე — 7,0, დ. გოდერძიშვილი — 6,5 (მ. სამხარაძე, 46 — 7,0), მოსეშვილი — 7.0.

მწვრთნელი: ს. არჩვაძე — 7,5.

თბილისი: ბათიაშვილი — 6,5, ქემოკლიძე — 6,0, გ. მიქაძე — 6,5, აბრამიძე — 6,0, ზამთარაძე — 6,5, ო. გველესიანი — 6,0; კვარაცხელია — 7,5, ბურდული — 7,0, ი. შენგელია — 6,0 (ხიზანიშვილი. 55 — 6,0), ვ. გაგუა — 7.0 (კანდელაკი, 78), ლ. მელქაძე — 5,5 (ისიანი, 46 — 7,0).

მწვრთნელი: ო. კორღალიძე — 7,5.

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი) — 6,5.

გოლები: კვარაცხელია 11 (0-1). მოსეშვილი, 4 (1-1). მ. სამხარაძე, 58 (2:1). ისიანი, 70 (2-2).

გააფრთხილეს: კვარაცხელია, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ვ. გაგუა, ქემოკლიძე, გველესიანი, ლ. გაგუა.

სამგურალი 0-1 ვიტ ჯორჯია

14.08.99. წყალტუბო. სტადიონი „26 მაისი“. 1000 მაყურებელი.

სამგურალი: ბობოხიძე — 5,5, ჯავახაძე — 5,0 (ზურაბიანი, 46 — 5,0). ფრანგიშვილი — 6,0, ლ. ქობულაძე — 5,5, ვოსკანოვი — 5,5, სადილიანი — 5,5, სუხიაშვილი — 6,0, ღონღაძე — 5,0 (ფხაკაძე, 46 — 5,0), ქუთათელაძე — 5,5, ხაჭაპურიძე — 5,0 (ნებიერიძე, 46 — 5,0), ძოძუაშვილი — 5,0.

მწვრთნელი: რ. ბურკაძე — 5,5.

ვიტ-ჯორჯია: ჭურაძე — 6,0, ჭანკოტაძე — 5,5, ბარქაია — 5,5, ხართიშვილი — 6,0, საჯაია — 5,5, კალადაშვილი — 6,5, კოტორაშვილი — 6,0 (ზ. გვაზავა, 65), ნოზაძე — 6,0, მაზიაშვილი — 5,5 (ჯ. მუჯირი, 77), ვ. გოჩაშვილი — 6,0 (გოცირიძე, 68), გიორგი ქორიძე — 6,5

მწვრთნელი: ს. კოტრიკაძე — 7,0.

მსაჯი: ა. შილაკაძე — 5,5.

გოლი: ქორიძე, 37.

გააფრთხილეს: ჯავახაძე, ვოსკანოვი, ქორიძე.

ბ ზონა

იბერია 1-1 მერანი

14.08.99. თბილისი. სტადიონი „ეროვნული“. 378 მაყურებელი.

იბერია: ვარდანიძე — 5,5, ბიწაძე — 5,5, გ. ლურსმანაშვილი — 5,5, გეგეშიძე — 6,5, მიქელთაძე — 5,5, მუმლაძე — 5,5 (დარსაძე, 55 — 5,5), ნიკოლეიშვილი — 5,5 (ცომაია, 66), ფილიპაშვილი — 5,5, მ. ჯინჭარაძე — 5,5, ივეჩიანი — 6.0 (ნ. გიორგაძე, 71), ზ. მეტრეველი — 6,5.

მწვრთნელი: ს. ფრუიძე — 6,5,

მერანი-91: ნაჭყეპია — 6,0, ლ. ამბიძე — 6,5, ცქიფურაშვილი — 6,0, ე. ალადაშვილი — 6,5, ხარებავა — 6,0 (ივანიშვილი, 69), ჭინჭარაული — 6,0 (ბაჯელიძე. 61), ჯიშკარიანი — 6,5, თოლორდავა — 6,5, დავითაშვილი — 7,5, დვიძე — 6,5, როსტიაშვილი — 6,5.

მწვრთნელი: თ. ჩხაიძე — 6,5.

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი) — 7,0.

გოლები: ზ. მეტრეველი, 64 (1-0), დვიძე, 75 (1-1)

გააფრთხილეს: ჯინჭარაძე, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, თოლორდავა.

დილა 1-1 თსუ

15.08.99. გორი. სტადიონი „ქართლი“. 1500 მაყურებელი.

„დილა“: სოღოლაშვილი — 6,5, ფეზუაშვილი — 6,0 (გ. ჩიტაია, 63 — 5,5), ხაჭაპურიძე — 6,5, აკოფიანი — 5,5 გოჩაშვილი — 6,5, გაგნიძე — 6,5, ბ. ჩიტაია — 5,5 (სულთანიშვილი, 54 — 6,0), ციცქიშვილი — 5,5 (არუთინიანი, 82), ლომიძე — 6,0, მარღიშილი — 6,0, შატაკიშვილი — 6,5.

მწვრთნელი: მ. ხუციშვილი — 6,5.

თსუ: მერელანი — 6,0, ნინუა — 6,0, წუწუნავა — 6,0, დეკანოსიძე — 5,5, მესხი — 5,0 (გოცირიძე, 32 — 5,0, ნოზაძე, 66), ადამია —6,0 (გ. გვაზავა, 74), ბოკერია — 6,0, ერაძე — 5,5, კვიციანი — 5,5, არჩვაძე — 6,0, ახალაძე — 5,5.

მწვრთნელი: კ. დოლიძე — 6,5.

მსაჯი: ა. კრიმაშვილი (თბილისი) — 7,0.

გოლები: ადამია, 16 (1-0). მარღიშვილი, 72 — პენ (1-1).

გააფრთხილეს: ხაჭაპურიძე, შატაკიშვილი, დეკანოსიძე, ერაძე, კვიციანი.

კოლხეთი (ფ) 2-3 კოლხეთი (ხ)

15.08.99. ფოთი. სტადიონი — „ფაზისი“, 980 მაყურებელი.

კოლხეთი (ფ): გვასალია — 5,0, გოროზია — 5,5, ტორჩინავა — 5,5, გ. გიორგაძე — 7,0, ანჯაფარიძე — 5,0 (კედელაშვილი, 53 — 5,5), ტრაპაიძე — 5,0 (ქუნთელია, 80), მ. მელაძე — 6,5, ხუჭუა — 6,0, ბულუხია — 6,0 (კრასოვსკი, 82), ღაღანიძე — 5,5, ინიაშვილი — 6,0.

მწვრთნელი: გ. ტყებუჩავა — 5,0.

კოლხეთი (ხ): ბაბუაძე — 7,0, ალანია — 6,5, ზ. კვეკვესკირი — 7,0, ზურაბ აიანდი — 7,0, ხურცილავა — 7,5, გვაზავა — 6,0 (გოცირიძე, 46 — 5,0), თორია — 6,0 (ჩიტაია, 46 — 7,0), ბულია — 6,0 (დანელია, 74), ჭიჭინაძე — 7,0. ზაზა აიანდი — 6,0.

მწვრთნელი: ფ. გოცირიძე — 8,0.

მსაჯი: მ. სანაია — 7,0.

გოლები: ხუჭუა, 12 (1-0). ხურცილავა, 53 (1-1). ბულუხია, 65 (2-1). ჩიტაია, 77 (2-2), ჩიტაია, 89 (2-3).

გააფრთხილეს: ზურაბ აიანდი, ზაზა აიანდი, ჩიტაია, ბულუხია.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

რონალდო ღიდ ნადიმს მართავს



იმის გამო, რომ რიო-დე-ჟანეიროში რონალდოს ბარის „R-9“-ს დაარსებიდან ერთი წელი უსრულდება, ფეხბურთელმა გადაწყვიტა დიდი ნადიმი მოაწყოს.

მიწვეულთა შორის არიან ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო და მისი წინამორბედი მარიო ზაგალო. აგრეთვე ბევრი ცნობილი პიროვნება ფეხბურთის სამყაროდან. ნადიმს დაესწრება რონალდოს ახალი მეგობარი ქალი მილენე დომინგესი, რომელიც მას ამ დღეებში „ინტერის“ აზიურ ტურნეში ახლდა.

როგორც რონალდომ განაცხადა, კვლავინდებურად ფინანსურ დახმარებას გაუწევს 200 ბავშვს, რომლებიც რიო-დე-ჟანეიროს ორ სპეციალიზებულ სკოლაში სპორტის სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშობენ.

ვინ გახდება საფრანგეთის ჩემპიონი?

გულშემატკივრებს შორის გამოკითხვამ „ვინ გახდება საფრანგეთის 1999-2000 წლების ჩემპიონი?“ ასეთი შედეგი მოიტანა:

გამოკითხულთა 25,7 პროცენტმა პირველობა მიანიჭა ახლანდელ ვიცე-ჩემპიონ „ოლიმპიკს“ (მარსელი). 5,7 პროცენტი მიიღო ახლანდელმა ჩემპიონმა „ბორდომ“, 5,1 პროცენტი — „პარი სენ-ჟერმენმა“.

პელეს – მენისკის ოპერაცია

როგორც ბრაზილიური პრესა იუწყება, ლეგენდარულ პელეს რიო-დე-ჟანეიროს ერთ-ერთ საავადმყოფოში მარჯვენა ფეხზე მენისკის ოპერაცია გაუკეთეს. საინტერესოა, რომ 53 წლის პელესათვის ეს პირველი ქირურგიული ოპერაცია აღმოჩნდა. იგი 21 წელიწადს თამაშობდა ფეხბურთს და მოხდა, რომ სერიოზულ ტრავმებს იღბლიანად გადაურჩა.

მულტიმილიონერი რუპერტ მერდოკი კლუბებს იძენს

როგორც მკითხველს კარგად ახსოვს, შარშან ავსტრალიელი მულტიმილიონერი რუპერტ მერდიკი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყიდვას შეეცადა, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელა.

ახლა კომპანია „სკაი სპორტის“ მფლობელი ინგლისის პრემიერლიგის სხვა კლუბების „ლესტერ სიტის“, „ჩელსის“, „ლიდს იუნაიტედის“, „ასტონ ვილას“ და კიდევ 4 გუნდის ყიდვას აპირებს. მას ჯერ განზრახული აქვს თითოეული ამ კლუბის აქციების 10 პროცენტის შეძენა, შემდეგ კი...

„რაინდულო საქართველოვ, აღსდექ!“

ქართული საბრძოლო ხელოვნების სისტემები:

„ბლეხური“ ანუ „მდაბიოთა“ საბრძოლო სტილი

საინტერესოა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ა. რობაქიძის მიერ აღმოჩენილი ფრესკა, რომელიც შემორჩა ალავერდის ტაძარს (კახეთი) მთავარ შესასვლელთა ზედა ნაწილში. ეს ფრესკა თარიღდება XV საუკუნით. ფრესკის მარცხენა ქვედა ნაწილში გამოსახულია ორი მოჭიდავე ბრძოლის (შერკინების) დროს, რომლებსაც აცვიათ საჭიდაო ჩოხები. ამ გამოკვლევებით მასალებიდან გახდა ცნობილი, რომ ფრესკაზე გამოხატული მოჭიდავეების პოზა წარმოადგენს ქართული ჭიდაობის ისევ და ისევ ნაცნობ მომენტს.

— „გდება ღოჯური ჩავლებით“ (ა. რობაქიძე „ქართული ხალხური სპორტის შესახებ“, 1955 წ.). ამ ფრესკიდან უკვე თვალნათლივ ჩანს ქართველ მოჭიდავეთა ჩაცმულობა ანუ „საჭიდაო ჩოხების“ არსებობა და სხვა საგულისხმო მომენტები.

მეტად საინტერესო ცნობებია XVI საუკუნის მესხურ ქრონიკებში (ექვ. თაყაიშვილი „სამი ისტორიული ქრონიკა“, თბ. 1890 წ. გვ. 109). სამცხე-საათაბაგოს თავკაცები უვარუვარე და მანუჩარი სულთანს გაუწვევია სტამბულში. ტირანის მოთხოვნით, მათ უნდა ეჭიდავთ ადგილობრივ ფალავნებთან (სპარსეთში, ისევე, როგორც თურქეთში — ფალავანს „ფეხლევანს“ უწოდებენ) ხონთქარის სასახლეში და წაგების შემთხვევაში უნდა მიეღოთ მაჰმადიანობა. სტამბულის სასახლეში ამისათვის განსაკუთრებით ემზადებოდნენ და იმედს ქართველების ფიზიკურ და მორალურ სისუსტეზე ამყარებდნენ. მანუჩარს ალბათ წაუგია, რადგანაც მაჰმადიანობა მიუღია, ხოლო უვარუვარე ქრისტიანი დაბრუნებულა. ქრონიკა გადმოგვცემს: „პატრონი უვარუვარე ღვთის წინაც შეურცხვენელი და კაცთანაცა, ფალავანი დასცა ხუანთქართანა და ქართველობით გამოუშვა მთ საბატონოს წყალობა ექმნა“ (ექვ. თაყაიშვილი, იგივე).

უნდა ვიფიქროთ, რომ უვარუვარე ფიზიკურად ძლიერი და გამოცდილი ფალავანი ყოფილა, რომ ასეთ სახიფათო საქმეზე წასულა. ჩვენი მოჭიდავეების ამ სახელოვანმა წინაპარმა ორივე გამოცდას გაუძლო „ფალავანი დასცა ხუანთქართანა“ და „ღვთის წინაც შეურცხვენელი და კაცთანაც“ დაბრუნდა სამშობლოში. ეს ამბავი XVI საუკუნეში მომხდარა.

უფრო ადრინდელი ცნობებიდან საინტერესოა ფრანცისკანელი ბერის ჯიოვანო პლანო კარპინის ნაამბობი. მან რამდენიმე წელი დაჰყო მონღოლთა ურდოში. აღწერა მათი ზნე-ჩვეულებანი, ყოფა და ჩვენდა საბედნიეროდ, ასეთი ფაქტიც შემოგვინახა. აი რას წერს იგი: „მონღოლები სხვა ადამიანების საზოგადოებას იმდენად ვერ იტანენ, რომ მათთან ლაპარაკიც არ სურთ და თამაშობა იქნება თუ სხვა რამე, ყოველთვის მათი დაჯაბნა უნდათ. ერთხელ მათს ჯარში მყოფი ორი ქრისტიანი ქართველი მათივე გაწვევით ხუმრობით ორ თათარ ფალავანს დაეჭიდა და ქართველებმა ორივე დასცა, მაგრამ ისე შეასრულეს მათი გდება, რომ თათარ ფალავნებს არაფერი დაუზიანებიათ. სხვა თათრები გაბრაზდნენ, ქართველებს გააფთრებით ეცნენ, თითოს თითო ხელი მოგლიჯეს და დაამტვრიეს“ (ექვ. თაყაიშვილი, იგივე).

ცნობები ქართული ჭიდაობის შესახებ მრავლად გვხვდება XVII—XVIII საუკუნეებში. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მეფე არჩილის (XVII ს.) მითითებანი საბრძოლო აღზრდის მაშინდელი ქართული სისტემისა და ჭიდაობის ფანდების შესახებ. „ხტომა, ქვის გდება, მოგვერდი, ფანდიც რამ არი... (არჩილიანი, „საქართველოს ზნეობანი“, თბ. 1941, გვ.5).

სვანებში ქართული ჭიდაობის, დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს შემდეგი თქმულება, თუ როგორ გაჩნდა ქვემო სვანეთში დადეშქელიანების მოდგმა. თქმულების თანახმად, სოფელ ეწერაში შემთხვევით მოხვდა ფალავანი ფუტა დადეშქელიანი ზემო სვანეთიდან. იგი იმწამსვე ჭიდაობაში გამოიწვიეს. მან ეწერას უველა ფალავანი დაჯაბნა ჭიდაობაში. სოფელმა მოუძებნა გამარჯვებულ ფალავანს საკარმიდამო მიწა, აუშენა სახლიც და იქვე დაასახლა იგი (რ. ხარაძე, ა. რობაქიძე „ძველი სვანური სოფელი“, თბ. 1964 წ.. გვ. 108).

ალავერდის ტაძრის (კახეთი) ფრესკა მთავარ შესასვლელის ზედა ნაწილში

„და გამოკრა ქართველმა ფალავანმა თათარს შუასარმა და რბილად დასცა იგი მიწაზე“.

ქართული (სვანური) ჭიდაობა „ლიბურგიელ“ ილეთი — „გდება ხელებით ღოჯური ჩაჭიდებით“

იური ყეინაშვილი,
საბრძოლო ხელოვნებების ოსტატი.
სპეციალურად „ლელოსათვის“
(გაგრძელება იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო“, №53,54,56-58,61-62

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

რონალდინიო (№7) – ბრაზილიელთა ახალი ვარსკვლავი

ბრაზილიელების ხვალინდელი დღე

მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატში მონაწილე ბრაზილიელი ფეხბურთელები ექსპერტების აზრით, სულ მცირე გამონაკლისის გარდა, 2002 წლისათვის მწვრთნელ ვანდერლეი ლუქსემბურგოსათვის ვერაფერი იმედი იქნებიან. ეს პირველ ყოვლისა, ცხადია, თვით ლუქსემბურგოსათვის, ამიტომ მან ჯერ „Copa America“-ზე, შემდეგ კი კონფედერაციის თასზე ფართოდ გაუღო კარი ახალი თაობის წარმომადგენლებს.

როგორი შთაბეჭდილება დატოვეს ამ ახალი ტალღის წარმომადგენლებმა?

ბრაზილიელთა კარს ბოლო სამ მსოფლიო ჩემპიონატში, ავად თუ კარგად, თბილისელთა ძველი ნაცნობი ტაფარელი იცავდა. ლუქსემბურგოს არც ახლა უნდოდა ტაფარელთან გამოთხოვება, მაგრამ ვეტერანმა თვით არ ისურვა ნაკრებში თამაში. დიდას ბრაზილიელი (და არა მარტო ბრაზილიელი) კომენტატორები აქებენ, განსაკუთრებით „Copa America“-ს მატჩებში. იგი კარგად თამაშობდა როგორც ხაზზე, ისე კარიდან გამოსვლისას; აიღო თერთმეტრიანები. ერთადერთი მატჩი, რომელშიც აშკარად სუსტად გამოიყურებოდა, იყო კონფედერაციის თასის ფინალი მექსიკელებთან, სადაც 4 ბურთი გაუშვა და ზოგმა დამარცხებაშიც დაადანაშაულა.

ლუქსემბურგომ ორი ახალი ცენტრალური მცველი გამოსცადა. *ოდვანი* რამდენადმე მძიმეა, თუმცა რაიმე აშკარა შეცდომა არ მოსვლია. მასზე უკეთესად, მწვრთნელის აზრით, გამოიყურებოდა *ჟოაო კარლოსი*, რომელიც მშვენივრად თამაშობს თავით. ფიქრობენ, რომ სწორედ ჟოაო კარლოსს აქვს გარანტირებული ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

ზაგო კაფუსა და რობერტო კარლოსის მსგავსად, მოიერიშე მცველია. იგი მინდორზე ოდნავადაც არ გრძნობს თავს შებოჭილად, გრძელ და მეტოქისათვის მეტად სახიფათო რეიდებს ახორციელებს, მაგრამ დროულად ბრუნდება უკან. ძალზე საიმედოდ თამაშობს დაცვის ცენტრში.

ემერსონმა, რომელიც ლევერკუზენის „ბაიერში“ წინა ხაზზე თამაშობს, ნაკრებში თავი გამოიჩინა როგორც მრავალმხრივმა ფეხბურთელმა. მას დიდებული ტექნიკა აქვს, მინდვრის სიღრმიდან წყვებს გუნდის შეტევებს, მარჯვედ ართმევს ბურთს მეტოქეს.

ყურადღებას იპყრობს 21 წლის ალექსის თამაში. იგი მინდორზე წინ წაწეული თავდამსხმელის უკან იკავებს ადგილს, შეუძლია უკან დახევა და ბურთისათვის ბრძოლა, შემდეგ კი წინ ზუსტი გადაცემა. აღნიშნავენ ალექსის ერთ ღირსებასაც – მას შეუძლია შორი მანძილიდან კარში ძლიერად დარტყმა. თუ ლუქსემბურგო სამი თავდამსხმელით ითამაშებს, ერთი მათგანი ალბათ, ალექსი იქნება.

ევანილსონმა „Copa America“-ზე სულ ერთი მატჩი ჩაატარა, როცა მწვრთნელმა კაფუ დაასვენა, მაგრამ, სამაგიეროდ, სისტემატურად თამაშობდა „კონფედერაციის თასზე“. ეს გახლავთ მეტად ძლიერი მცველი, ამიტომ მეტოქეები მცირე ცდების შემდეგ თავს ანებებენ მასთან ბრძოლას და თამაშობენ საწინააღმდეგო ფრთაზე გადააქვთ.

ვამპეტამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა „Copa America“-ზე, მაგრამ ტრავმა მიიღო. რაც შეეხება „კონფედერაციის თასს“, იგი ამ დროისათვის გამოჯანმრთელდა და ერთი იმათთაგანია, ვისი იმედიც შემდეგში ლუქსემბურგოს ექნება.

მწვრთნელი ორივე ამ შეჯიბრებაში ცდილობდა ბეტო გამოეცადა ძირითად შემადგენლობაში. ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს, მიმომხილველთა აზრით, ბევრი არაფერი გაუკეთებია, თუმცა არც გაუფუჭებია. იგივე შეიძლება ითქვას ისეთ ახალწვეულებზე, როგორიც კრისტიანი და ვარლეი არიან.

რაც შეეხება ლუქსემბურგოს ნამდვილ აღმოჩენას, 19 წლის *რონალდინიოს,* ანუ, როგორც მას ბრაზილიელი ჟურნალისტები უწოდებენ რონალდო „გაუჩოს“ (რადგანაც იგი „გაუჩოს ჩემპიონატში“ გამოდის, როგორც შტატ რიო-გრანდელ-დუ-სულის პირველობას უწოდებენ), მასზე უკვე ბევრი დაიწერა. საინტერესოა, რომ გულშემატკივრები დაჟინებით მოითხოვენ რონალდინიოს მინდორზე გამოყვანას, მაშინაც კი, როცა მწვრთნელს სულ სხვა გეგმები აქვს.

ბრაზილიელთა ნაკრების ვარჯიშზე მთავარი მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო (მარჯვნივ) დავალებას აძლევს ლეონარდოს.

რონალდინიო, თუ რაღაც გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიელების დიდი იმედი იქნება.

პირველი ადგილი „Copa America“-ზე და მეორე – „კონფედერაციის თასზე“, ეს, თვით ბრაზილიელების შეფასებით, არც მათი ნაკრების ბრწყინვალე მიღწევაა, და, არც, რა თქმა უნდა, მარცხი. ეს გახლავთ ნორმალური შედეგი იმ პერიოდისათვის, როცა ლუქსემბურგო ცდილობს ნაკრების გადახალისებას და მასში ახალი სათამაშო იდეების დანერგვას.

ერთადერთი ნათელი ნერგილი და ისიც, კაფანდარა

თუ კაცი პირველად შეხედავს ოლივერ ნოივილს, ნაღდად არ დარჩება იმის შთაბეჭდილება, რომ ამ ბიჭს შესწევს ძალა ბუნდესლიგის უკომპრომისო მატჩების დატვირთვებს გაუძლოს მთელ სეზონში. დალეულ, კაფანდარა ფეხბურთელს, როცა სათამაშო მაისური აცვია, ბევრს გულიანად ეიმედება ხოლმე, რისი მიზეზიც ის გახლავთ, რომ მაისური, ფაქტობრივად, ორი ზომით დიდია ჭიაყელა ოლივერზე...

გერმანიის ეროვნულ ნაკრებს ახლა მართლა მძიმე დღეები უდგას. გულშემატკივრები გაწბილებულნი არიან არა მარტო შედეგებით, არამედ იმითაც, როცა ვერა და ვერ გამოჩნდა ნაკრების ღირსეული ცვლა. ოლივერ ნოივილი კი, რომელიც 1999-2000 წლების სეზონისთვის როსტოკის „ჰანზადან“ ლევერკუზენის „ბაიერში“ გადავიდა, ამ მხრივ ერთადერთი ნათელი წერტილია. ტყუილად როდი დაასახელეს ის გერმანიის 1998-99 სეზონის ნომერ მესამე ფეხბურთელად ლოთარ მათეუსისა და მიხაელ პრეეცის შემდეგ. ოლივერ ნოივილს (დაიბადა 1973 წლის 1 მაისს) თამაშის თვითმყოფადი კულტურა აქვს – მას დამოუკიდებლად ძალუძს საგოლე მომენტის შექმნაც და რეალიზებაც.

გერმანიის ეროვნული ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ბერტი ფოგთსმა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე ტრიუმფის შემდეგ, ბუნდესლიგის რამდენიმე არაგერმანელ ფეხბურთელს დაადგა თვალი. მისი შემწეობით სამხრეთაფრიკელი შონ დანდი („კარლსრუე“) და ბრაზილიელი პაოლი რინკი („ლევერკუზენი“) გაგერმანელდნენ, მაგრამ არიელთა ეროვნულ გუნდში ვერ გაიბრწყინეს.

ოლივერ ნოივილი შვეიცარიის იტალიური ნაწილის მკვიდრი გახლდათ, ხოლო გერმანული პასპორტის აღების ნება იმიტომ დართეს, რომ მამამისი პახენის (ქალაქი გერმანიაში) მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სოფელში დაიბადა. ნოივილი ჯერ შვეიცარიის პროვინციულ კლუბებში თამაშობდა, 1992 წლიდან კი ჟენევის „სერვეტის“ მაისური მოირგო და ხუთი სეზონი გაატარა ამ გუნდში. მერე ესპანურ „ტენერიფეში“ მოსინჯა ძალები, მაგრამ, უშედეგოდ. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ბუნდესლიგის დებიუტანტმა, ყოფილი გდრ-ის როსტოკის „ჰანზამ“ ამ კაფახდარა ფეხბურთელის გადაბირება და არც შემცდარა...

ნოივილს სანაკრებო დებიუტი 1996 წლის სექტემბერში ჰქონდა მალტის წინააღმდეგ (ამხანაგური მატჩი) და საკმაოდ ნორმალური რეცენზიები დიმსახურა. ეროვნული გუნდის ახალმა თავკაცმა ერიხ რიბეკმაც არ იხამუშა ეს კაფანდარა ბიჭი – ოლივერ ნოივილი ნაკრების მუდმივი წევრი შეიქნა. მან წარმატებით ჩაატარა ევრო-2000-ის შერჩევითი მატჩები – გაიტანა ერთი ბურთი (ფინეთთან) და რამდენიმე საგოლე გადაცემა შეასრულა, რაც შეეხება გერმანიის ეროვნული ნაკრების წარუმატებელ ტურნეს ფლორიდაში (წლეულს ზამთარში) და სამარცხვინო გამოსვლას კონფედერაციის თასზე, ოლივერ ნოივილი დასძენს: „ყველას მაგიერ არ შემიძლია განვსჯო, მაგრამ პირადად მე მიმაჩნია, რომ ნაკრებში საკმაოდ კარგი სიტუაციაა. გუნდი ევრო-2000-ის შესარჩევ ციკლში წარმატებით გამოდის და სამომავლო მიზნად, მხოლოდ ჩემპიონობის შენარჩუნება აქვს დასახული, რომელიც 3 წლის წინათ მოვიპოვეთ ინგლისში. ნაკრებს ახლა ბევრს და ძალიან აკრიტიკებენ, მაგრამ ხანდახან, უსამართლოდაც. ვერც კი წარმომიდგენია, რომ გერმანიის ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მიღმა დარჩება, ეს უბრალოდ, არ მოხდება“.

თუ გერმანიის ნაკრების კაპიტანს, მეორე ოლივერს, მილანელ ბირჰოფს დაჯავშნული აქვს ადგილი ძირითად გუნდში, თავდასხმაში მისი მეწყვილე ხან ვინ არის და ხან ვინ. ამაში ერთმანეთს ძირითადად ნოივილი, კირსტენი და იანკერი ეცილებიან. „1998-99 სეზონი იმდენად ბრწყინვალე აღმოჩნდა ჩემთვის, რომ ამის დაჯერებაც კი მიჭირს. მე ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი გავხდი; „ჰანზა“ წარუმატებელი სტარტის შემდეგ ათამაშდა და ბუნდესლიგის გავარდნას გადაურჩა და ბოლოს, რა თქმა უნდა, ის, რომ მე ეროვნულ გუნდში გავიკვლიე გზა. მინდორზე მათეუსის და ბირჰოფის გვერდიგვერდ მიწევს გამოსვლა. ეს წარმოუდგენელია!“ – ამბობს ოლივერ ნოივილი.

ნიე ბიბუელი,
("World Soccer")

ეროვნული ჩემპიონატები

ინგლისი ● III ტური

მანჩესტერი — ლიდსი 2-0, ბრედფორდი — შეფილდი 1-1, დერბი — მიდლსბრო 1-3, ლესტერი — ჩელსი 2-2, ლივერპული — უოტფორდი 0-1, სანდერლენდი — არსენალი 0-0, ტოტენჰემი — ევერტონი 3-2, უიმბლდონი — ქოვენთრი 1-1, საუთჰემპტონი — ნიუკასლი 4-2.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მანჩესტერი	3	2	1	0	7-1	7
არსენალი	3	2	1	0	4-2	7
ასტონ ვილა	2	2	0	0	4-0	6
მიდლსბრო	3	2	0	1	6-4	6
ტოტენჰემი	3	2	0	1	6-4	6
საუთჰემპტონი	3	2	0	1	5-5	6
ჩელსი	2	1	1	0	6-2	4
ლიდსი	3	1	1	1	3-2	4
ბრედფორდი	2	1	1	0	2-1	4
უიმბლდონი	3	1	1	1	6-6	4
ლესტერი	3	1	1	1	4-4	4
სანდერლენდი	3	1	1	1	2-4	4
ვესტ ჰემი	1	1	0	0	1-0	3
ლივერპული	2	1	0	1	2-2	3
უოტფორდი	3	1	0	2	3-5	3
ქოვენთრი	3	0	1	2	1-3	1
დერბი	3	0	1	2	2-5	1
ევერტონი	3	0	1	2	3-7	1
შეფილდი	3	0	1	2	2-7	1
ნიუკასლი	3	0	0	3	3-8	0

გერმანია ● I ტური

ვოლფსბურგი — მიუნხენი-1860 2-1, ბაიერნი — ჰამბურგი 2-2, კაიზერსლაუტერნი — ბორუსია 1-0, შალკე — არმინია 1-1, შტუტგარტი — ვერდერი 0-0, აინტრახტი — უნტერჰასინგი 3-0, დუისბურგი — ბაიერი 0-0, ულმი — ფრაიბურგი 1-1, ჰერტა — ჰანზა 5-2.

საფრანგეთი ● III ტური

პსჟ — მეცი 2-1, ოსერი — სედანი 3-1, ნანსი — ჰავრი 3-0, ბორდო — ტრუა 4-0, მონაკო — ბასტია 4-0, ნანტი — ლანსი 0-1, სტრასბური — მონპელიე 2-0, ლიონი — რენი 2-2, ოლიმპიკი — სენტ-ეტიენი 3-3.

პსჟ	3	3	0	0	6-2	9
ბორდო	3	2	1	0	9-4	7
ნანტი	3	2	0	1	3-1	6
ლანსი	3	2	0	1	2-1	6
ოსერი	3	2	0	1	5-5	6
სტრასბური	3	2	0	1	3-3	6
ოლიმპიკი	3	1	2	0	6-3	5
მონაკო	3	1	1	1	6-3	4
მეცი	3	1	1	1	4-2	4
ლიონი	3	1	1	1	5-5	4
მონპელიე	3	1	1	1	4-5	4
ნანსი	3	1	0	2	5-5	3
ბასტია	3	1	0	2	5-7	3
სედანი	3	1	0	2	4-7	3
სენტ-ეტიენი	3	0	2	1	5-7	2
რენი	3	0	2	1	3-5	2
ჰავრი	3	0	1	2	0-4	1
ტრუა	3	0	0	3	1-7	0

რუსეთი ● XX ტური

როტორი — ზენიტი 2-2, ემჩუკინა — დინამო 1-0, ნიჟნი ნოვგოროდი — ალანია 2-1 (სტუმართაგან ერთადერთი გოლი თერთმეტმეტრიანით დემეტრაძემ გაიტანა), ტორპედო — ურალანი 3-1, სატურნი — კრილია 2-0, როსტსელმაში — შინიკი 0-0, ცსკა — სპარტაკი 0-4, ლოკომოტივი — ჩერნომორეცი 2-1.

სპარტაკი	24	17	5	2	54-18	56
ლოკომოტ. (მ)	20	13	4	3	44-21	43
ცსკა	20	10	7	3	36-18	37
ტორპედო	21	9	9	3	28-24	36
დინამო	20	9	5	6	33-27	32
ალანია	19	9	4	6	41-26	31
როსტსელმაში	18	7	6	5	20-19	27
ზენიტი	20	6	8	6	26-25	26
ლოკომ.(ნ.ნ.)	20	7	4	9	24-31	25
როტორი	21	6	4	11	27-40	22
სატურნი	21	5	6	10	20-30	21
კრილია სოვეტ.	21	5	4	12	26-36	19
ჩერნომორეცი	20	4	5	11	18-34	17
ემჩუკინა	20	3	8	9	15-32	17
ურალანი	19	4	4	11	13-27	16
შინიკი	20	3	7	10	13-30	16

ბომბარდირები: დემეტრაძე (ალანია) — 17; ტიხონოვი (სპარტაკი) — 16; ავაქოვი (ნიჟნი ნოვგოროდი), ტერიოხინი (დინამო) — 10-10.

პოლანდია ● I ტური

დენ ბოში — ფეიენოორდი 0-4, ეინდჰოვენი — მაასტრიხტი 4-1, ფორტუნა — აზ-67 1-2, კამბური — ვიტესი 1-1, გრაასფი — როდა 0-0, სპარტა — ვილემ II 0-2, ოტრეხტი — ნაიმეგენი 1-0, ვაალვიკი — ტვენტე 1-1, აიაქსი — ჰერენვენი 3-2 (მასპინძელთაგან ერთი გოლი შოთა არველაძემ გაიტანა).

შვეიცარია ● VI ტური

ქსამაქსი — სერვეტი 3-2, არაუ — ლოზანა 1-3, ივერდონი — დელემონი 3-1, ბაზელი — ლუცერნი 2-0, გრასჰოპერსი — სანქტ-გალენი 2-2, ლუგანო — ციურიხი 1-1 (სტუმრები მარცხისაგან ჯამარაულის გოლმა იხსნა).

ზანქტ-გალენი	7	4	2	1	13-7	14
გრასჰოპერსი	8	3	4	1	14-7	13
ბაზელი	7	3	4	0	10-4	13
სერვეტი	8	4	1	3	14-11	13
ივერდონი	8	3	3	2	11-8	12
ქსამაქსი	8	2	5	1	13-14	11
ლუცერნი	8	3	2	3	8-9	11
ლოზანა	8	2	3	3	9-8	9
არაუ	8	2	2	4	10-17	8
ლუგანო	8	1	4	3	9-11	7
ციურიხი	8	1	4	3	6-12	7
დელემონი	8	1	2	5	10-19	5

ესპანეთის სუპერთასი. განმეორებითი მატჩი

ბარსელონა — ვალენსია 3-3 (პირველი მატჩი 0-1), 1-0 ფიგუ (15), 1-1 ალბელდა (16), 2-1 რ. დე ბური (21), 2-2 ხუან სანჩესი (54), 3-2 კლიუვერტი (63), 3-3 ფარინოსი (65).

მაგრი ქალთა მსოფლიო პირველობაზე

სიუ ჟუნი – ალისა გალიამოვა

ლიდეროობს სიუ ჟუნი

ერთკვირიანი შესვენების შემდეგ კვირას, ქ. შენიანში (ჩინეთი) განახლდა მატჩი მსოფლიო პირველობაზე მსოფლიოს ექს ჩემპიონ სიუ უუნსა (ჩინეთი) და ალი სა გალიამოვას (რუსეთი) შორის. პირველი ნახევრის ანგარიში, როგორც ცნობილია თანაბარი იყო: 4:4.

კვირას მეცხრე პარტიაში 94-ე სვლაზე გაიმარჯვა ჩინელმა მოჭადრაკემ. ამრიგად, ახლა ანგარიშია 5:4 სიუ უუნის სასარგებლოდ.

გრაფი: 22 „ბუზარადი", 70 გრავმა!

შაბათს ჰაიდელბერგში გაიმართა შტეფი გრაფის პრეს-კონფერენცია, სადაც გამოჩენილმა გერმანელმა ჩოგბურთელმა ოფიციალურად გამოაცხადა სპორტული კარიერის დამთავრების შესახებ.

30 წლის ჩოგბურთელი სულ ცოტა ხნის წინათ აპირებდა ეთამაშა აშშ-ს ღია პირველობაზე, რომელიც ამ დღეებში იწყება, მაგრამ ახლა თქვა, რომ არ დირს შეჯიბრებებში მონაწილეობა.

სულ შტეფი გრაფს თავის ხანგრძლივ კარიერაში მოგებული აქვს „დიდი მუზარადის" 22 ტურნირი, აქედან 7 უიმბლდონი, 6 როლან გაროსი, 5 აშშ-ს ღია პირველობა და 4 – ავსტრალიის ღია პირველობა.

განსაკუთრებულ წარმატებას გრაფმა 1988 წელს მიაღწია, როცა გაიმარჯვა სეულის ოლიმპიადაზე და „დიდი მუზარადის" ოთხივე ტურნირში. ეს ჩოგბურთის ისტორიაში ბოლო შემთხვევა იყო, როცა სპორტსმენმა „დიდი მუზარადის" ცალკეულ ტურნირში კი არ მიაღწია წარმატებას, როგორც ეს დღემდე ხდება, არამედ, საერთოდ შეძლო „დიდი მუზარადის" მოპოვება.

საინტერესოა, რომ თვით გრაფის განცხადებით მას მიღებული აქვს სხვადასხვა სიმძიმის 70 (!) ტრავმა.

მიმომხილველებს გრაფის განცხადება მაინც რამდენადმე საადრევად მიაჩნიათ, თუნდაც იმის გამო, რომ წლევანდელ მისი მზადყოფნა მაღალი იყო: გერმანელმა ჩოგბურთელმა მოიგო როლან გაროსი და გავიდა უიმბლდონის ფინალში.

„ბოგბო-ლოგბო" – მილიონთა თამაში!

15 აგვისტოს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეთორმეტე გათამაშებით.

«ლოტო 6–42»-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:

5. 14. 22. 23. 28. 32.

3 ციფრი – 1.90 ლარი.
4 ციფრი – 16.60 ლარი.
5 ციფრი – 908 ლარი – გადავიდა მომდევნო ტირაჟში.
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

„ჯეკ-პოტი" 39 545 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

„სუპერ-7"-ის მომგებიანი ციფრებია: **1. 8. 5. 6. 6. 8. 0.**

შემდეგი ტირაჟი შედგება 22 აგვისტოს.

მომენტალური ლატარიების „გოლი-98"-ის, „ოლიმპი"-ს და ლატარია „ლოტო 6-42"-დან მოუგებელი ბილეთების გათამაშებისას 26 სექტემბერს დიდ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება და ლატარიის ბილეთების კომპლექტები წილად ხვდათ: ლატარია „ოლიმპ"-ში – თამუნა თორაძეს (თბილისი) – ბილეთის № 098526, გივი გვახარიას (თბილისი) – ბილეთის №033356, ლატარია „გოლი 98"-ში შალვა ბეკეურს (თბილისი) – ბილეთის № 02643-023, ვალოდია გულიტაშვილს (თბილისი) – ბილეთის №02642-172. ლატარია „ლოტო 6-42"-დან 31-ე ტირაჟის მოუგებელი ბილეთები კომპიუტერის მეშვეობით გათამაშება მოგებახვედრილი ბილეთები: (43001 45026) – საგარეჯო, (17002 26706) – თბილისი-გლდანი, მოგებულებს გადაეცემათ სისტემურად, 4 ვარიანტად შევსებული ხუთ-ხუთი ლატარიის ბილეთი. 26 სექტემბერს გაიმართება საინტერესო პრიზების გათამაშება. ლატარია „ლოტო 6-42"-დან მოყვარულებს კვლავ შეგახსენებთ, რომ ამ ლატარიის ბილეთების მონაცემები ინახება კომპიუტერის მეხსიერებაში და თვით კომპიუტერის გამოყენებით ვლინდება გამარჯვებულები.

ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

№3 ფავორიტმა ბოუგო №1 ფავორიტს

ექსპერტების ყველა ბოლოდროინდელი გამოკითხვისას ჩემპიონობის უმთავრეს კანდიდატად ვლადიმირ კრამნიკს მიიჩნევდნენ, შემდეგ კი ასახელებდნენ ალექსი შიროვსა და მაიკლ ადამსს. სინამდვილეში კი...

მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კრამნიკი – ადამსი, შიროვი – ნისიპიანუ, ხალიფმანი – ი. პოლგარი და აკოფიანი – მოვსესიანი.

ორი ძირითადი პარტიის შემდეგ მხოლოდ ერთი რამ გაირკვა: ხალიფმანმა მოუგო პოლგარს და დაატოვებინა გათამაშება, სამ დანარჩენ წყვილს კი სწრაფი პარტიების თამაში მოუხდა გამარჯვებულის გამოსავლენად.

მთავარი მოულოდნელობა იყო კრამნიკის მარცხი ადამსთან. უპირატესობას მიაღწიეს აგრეთვე ნისიპიანუმ შიროვთან, რაც ასევე თავისთავად დიდი სიურპრიზია და აკოფიანმა – მოვსესიანთან.

ამრიგად, ნახევარფინალში გავიდნენ და ერთმანეთს შეხვდებიან ადამსი – აკოფიანი და ხალიფმანი – ნისიპიანუ. ნახევარფინალში ადრინდელი მატჩებისაგან განსხვავებით მეტოქეები უკვე ოთხჯერ ხვდებიან ერთმანეთს.

სამპრასმა მოუგო რაფტერს

კვირას ქ. ცინცინატში (აშშ) დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში მსოფლიოს უძლიერესი ოსტატების მონაწილეობით.

ნახევარფინალებში პიტ სამპრასმა (აშშ) მოუგო თანამემამულე ანდრე აგასის, ხოლო პატრიკ რაფტერმა (ავსტრალია) ევგენი კაფელნიკოვს (რუსეთი).

ფინალურ მატჩში სამპრასმა ანგარიშით 7:6, 6:3 სძლია რაფტერს. ეს ამერიკელის მე-60 გამარჯვებაა საერთაშორისო ტურნირებში.



პროფესიული კრივის სამყაროში



ვის გაუმართლებს მაიამიში?

კრივის საერთაშორისო საბჭოს (WBC) ვერსიით მსოფლიო ჩემპიონობის ტიტულის პრეტენდენტების ბრძოლა სუპერმსუბუქი წონის ყოფილ რუსეთელ კონსტანტინე ცზიუს (ახლა ავსტრალიაში ცხოვრობს) და ესპანელ მიგელ ანხელ გონსალესს შორის, რომელიც 21 აგვისტოს ლას-ვეგასში უნდა შემდგარიყო, მაიამიში გადაიტანეს იმის გამო, რომ მხარეთა პრომოუტერები დენ გუსენი და დონ კინგი ვერ შეთანხმდნენ Las wegas Hilton-ის შენობის იჯარაზე. ბრძოლის ახალ სარბიელად დაასახელეს მაიამისთან ახლოს მდებარე Miccosukee Indian Gaming

საქმე ისაა, რომ ორი წლის განმავლობაში ამ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ქამარი ვაკანტური იყო მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ოსკარ დელა ჰოიამ 1997 წლის იანვარში მოუგო გონსალესს, უფრო მძიმე წონით კატეგორიაში გადაინაცვლა. პრეტენდენტთა ორთაბრძოლა ვაკანტური ტიტულისათვის ცზიუსა და გონსალესს შორის მოკრივეთა ტრავმების გამო უკვე სამჯერ გადაიდო.

რა ხდება ქვეყანაზე

გრიგალი მომავალი ოლიმპიადის მიწაზე

სოკ-ლეიკ-სიტში (აშშ), რომელიც მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი უნდა იყოს, ამ დღეებში ისეთი ქარბორბალა დატრიალდა, რომ ყველაფერი თავდაყირა დააყენა და წუთში 180 კმ სიჩქარის ქარმა დიდი უბედურება მოუტანა ქალაქს და მოსახლეობას.

ფეხბურთელებმა გადაარჩინეს ცურვაში მსოფლიო ჩემპიონი

ქ. მალმეში, აუზში სავარჯიშოდ ჩახტა თუ არა, მსოფლიო ექს-ჩემპიონმა და ექს-რეკორდსმენმა შვედმა ლუიზ კალსონმა გონება დაკარგა და ტრაგედია გარდუვალი იყო ორ შვედ ფეხბურთელს ტომას რაველის და ტომას ბროლინს რომ არ ეყოჩაღათ. დაზარალებული მათ წყლიდან ამოიყვანეს, პირველი დახმარება აღმოუჩინეს და სასწრაფო დახმარებაც გამოიძახეს.

სიკვდილი საჭიდაო ხალიჩაზე ჩასაფრდა

ძლიერ აფეთქებამდე სულ რამდენიმე წუთი რჩებოდა, რომელსაც მწვრთნელებისა და უკრაინის ნაკრების თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სოცოცხლე შეეწირებოდა, რომ არა ერთერთი მწვრთნელის ვაჟის ბავშვური ცნობისმოყვარეობა — გაეხსნა ხალიჩაზე დაგდებული ცელოფანის პაკეტი.

პატარას „შიგთავსი" რაღაც არ მოეწონა და მამას აცნობა.

შემდეგ ყველაფერი კალეიდოსკოპიური სისწრაფით განვითარდა: როგორც კი გაიგეს ასაფეთქებელიაო (სპეციალისტებმა შემდეგ დაადგინეს, რომ მისი სიმძლავრე 4 კგ ტროტილს შეეფარდებოდა), კიევის სამხედრო ლიცეუმის მანეეი მყისვე დატოვეს ატლანტის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორებმა ელბრუს თედეევმა და ზაზა ზოზიროვმა, ევროპის სამგზის ჩემპიონმა ა. ზახარჩუკმა და ნაკრების წევრებმა და მწვრთნელებმა. სპეციალისტებმა აფეთქებამდე 120 წამით ადრე გააუვნებელყვეს „ჭოჭოხეთის მანქანა". ვის დასჭირდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა უკრაინის ნაკრების დაღუპვა?

ნბაელს პრეზიდენტობა სურს

ნბა-ს კლუბ „ნიუ-იორკ ნიჭსის" 56 წლის ყოფილი ფორვარდი ბილ ბრედლი პირველი კალათბურთელია, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა აშშ-ს პრეზიდენტის პოსტზე. იგი 10 სეზონს ნბა-ს ჩემპიონატში იცავდა თავისი კლუბის სახელს, იყო რომის ოლიმპიადის გამარჯვებული, რამდენიმე წლის განმავლობაში სენატორის პოსტი ეკავა და კვლავ უბრუნდება პოლიტიკურ კარიერას.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



17 აგვისტო, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. სუპერმატჩი (20.00), *კაგკასია.* სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***HTB პლუს ფუთბალ.*** „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები" (13.15), ინგლისის ჩემპიონატი (13.30, 22.10), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.15), საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.15), ესპანეთის ჩემპიონატის წინ (19.45), ჩემპიონთა ლიგის არქივი (23.10). ***HTB პლუს სპორტ.*** ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.55, 23.25), ***ESPN.*** ჰოლანდიური ფეხბურთი (7.00), მარათონი (2.00), ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), ფეხბურთი. ევროგოლები (15.00, 21.00), საპარაშუტო სპორტი, მსოფლიოს ჩემპიონატი (16.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00, 1.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (2.00).

18 აგვისტო, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. კაგკასია. „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***ევროკა.*** „სტუმარი" (21.00), ***HTB პლუს ფუთბალ.*** ესპანეთის ჩემპიონატის წინ (13.45), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.00), ჩემპიონთა ლიგის არქივი (16.55, 21.55), ჰოლანდიის ჩემპიონატი (23.40), ***HTB პლუს სპორტ.*** ჭადრაკი. მსოფლიოს ჩემპიონატი (13.40, 22.15). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (7.00, 15.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: ევროგოლები (11.30), ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (15.00), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (1.30).

19 აგვისტო, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. კაგკასია. „ვარსკვლავები" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***ევროკა.*** „ფეხბურთის ლეგენდები" (21.35), ***HTB პლუს ფუთბალ.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (13.15, 21.15), ჩემპიონთა ლიგის არქივი (17.15), შოტლანდიის ჩემპიონატი (19.20, 23.50), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები" (23.05), ***HTB პლუს სპორტ.*** ჭადრაკი. მსოფლიოს ჩემპიონატი (13.35, 23.45). ბატუტი. მსოფლიოს თასი (0.15), ***ESPN.*** იტალიის ჩემპიონატი (15.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (11.30), მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (13.30, 21.00, 2.30). წყალთხილამურები. მსოფლიოს თასი (16.30).

ნინა პანომარიოვა სიყვარულით იგონებს ნინა დუმბაძეს

რუსეთის ტელევიზიის პირველ არხზე, სატელევიზიო სტუდიამ „Bug" ციკლიდან „Как это было" მთელი გადაცემა მიუძღვნა ჰელსინკის 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებს. სტუდიაში მოწვეულთა შორის იყო ნინა პანომარიოვა (რამაშკოვა), რომელმაც დაწვრილებით ილაპარაკა საბჭოთა სპორტსმენებისთვის პირველი ოლიმპიური თამაშების პერიპეტიებზე. პანამარიოვამ სიყვარულით, გულთბილად მოიგონა ნინა დუმბაძე, რომელიც იმ პერიოდში მსოფლიოში ერთერთი უძლიერესი ბადრის მტყორცნელი ქალი იყო და ოლიმპიურ ოქროს მედალსაც მას უწინასწარმეტყველებდნენ

„ნინა დუმბაძე თავისი პიროვნული ღირსებებით ჩემი და, საერთოდ, ქალმძლეოსანთა საიმედო დასაყრდენი იყო, ჩვენ ის ყველას ძალიან გვიყვარდა, პირადად მე ჩემს უფროს მეგობრად მიმაჩნდა და ვერც კი წარმომედგინა, რომ მისთვის შეჯიბრებაში მომეგო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ოლიმპიური ჩემპიონი მე გავხდი, ნინა დუმბაძე კი მესამე იყო" — თქვა ნინა პანომარიოვამ. დავძენთ, რომ ოლიმპიურ ცნობარებში დაფიქსირებულია, რომ საბჭოთა სპორტის ისტორიაში პირველმა ნინო პანომარიოვამ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი.



მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თარაზულად: 1. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 8. ალპინიზმის ინვენტარი — ტერფზე ამოსაკრავი, 12. ორადგილიანი ველოსიპედი, 13. მოკლე მანძილზე მორბენალი, 14. სპორტული თამაშის ნაწილი, 16. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 17. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 19. ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 22. ცნობილი ქართველი ფალავანი, 24. ტერმინი კარატეში, 25. ილეთი აკრობატიკაში, 27. ბრაზილიის საფეხბურთო გუნდი, 28. ფარიკაობასა და კრივში სავარჯიშო ორთაბრძოლა, 30. ქართველი მძლეოსანი — მსოფლიოს ჩემპიონი, 31. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 33. ფეხბურთელი — ყოფილი დინამოელი, 34. ლეგენდარული ქართველი ფალავანი, 35. ქალაქი, ოლიმპიადის მასპინძელი.

შვეულად: 2. მძლეოსნობის ინვენტარი, 3. ბილიარდის სათამაშო ჯოხი, 4. მოჭადრაკე ქალი — მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, 5. მოჭადრაკეების სია ქულების დარიცხვით, 6. ჩოგბურთის მოედანი, 7. ილეთი ანუ... 9. ცნობილი უნგრელი ვეტერანი მოკრივე, 10. გერმანიის საფეხბურთო გუნდი, 11. გერმანელთა საფეხბურთო ნაკრების წევრი, 15. მსაჯი ანუ... 18. მაროკოს ნაკრების ფეხბურთელი, 20. უმაღლესი მწვერვალი, 21. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, 23. კანადელი სპრინტერი, 26. იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 27. უცხოეთის საფეხბურთო კლუბი, 29. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი — მსოფლიოს ჩემპიონი, 32. თბილისის საფეხბურთო სკოლა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. კინდერი. 5. სიმეონე. 9. სიმენი. 10. სავონი. 21. არახამია. 23. აცტეკა. 27. ისინდი. 28. ოლიეარი. 36. ერიქსონი. 42. კანადა. 45. ენდერი. 47. აველანეი. 58. აპოელი. 59. პროსტი. 61. იასალდე. 63. ლასკერი. **შვეულად:** 3. ქვაჭაძე. 6. ეშფორდი. 7. ანელკა. 8. ზამორა. 16. ვადუცი. 19. ანანდი. 24. ასპრილია. 25. ალიოხინი. 26. პრიუდომი. 27. იამანიძე. 40. რაპირა. 41. არტიმე. 46. ფრეზერი. 47. ანიელი. 48. იფტერი. 49. იანკერი. **დიაგონალურად:** 12-1. იარნი. 20-4. ელვესტი. 9-25. სანტანა. 17-29. ალემირი. 16-28. ვალდანო. 32-13. სალამანკა. 2-15. გოლფი. 5-22. სკელაჩი. 14-33. მაკამიდა. 26-11. პლატინი. 30-18. იალბუზი. 31-19. ალიანსა. 29-38. იერო. 37-30. იური. 34-55. სამარანჩი. 46-62. ფხაკაძე. 54-64. ზეესი. 50-36. ანდრადე. 51-37. ოვერატი. 58-43. ადიდასი. 39-53. ისელიძე. 38-52. ოსიპოვი. 44-60. ირიბარი. 56-35. ბონაპერტი. 63-49. ლეიეური. 65-57. შენეა.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
ნადიშამათი 2 სვლაში (2 ამოხსნა)
I ამოხსნა: 1. ge7 gf6+ 2. de6 kb8X.
II ამოხსნა: 1. de6 ge4 2. dc7 kc5X.

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელის" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე